ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## რატი ბრეგაძე: „ცენტრ „ემპათიას“ მიერ გამოტანილი სააკაშვილის დიაგნოზები არ არის სარწმუნო“

გვ.3



პარასკევი, 27 იანვარი, 2023

№19 (9055)

ფასი: 80 თეთრი

# „ივანიშვილმა თავის ფინანსებს ქვეყანა როგორ გადააყოლა?! ოპოზიციამ იცის?!“

## ირაკლი კობახიძე შვეიცარიულ ბანკს ბიძინა ივანიშვილის დაყაჩაღებაში ადანაშაულებს

გვ.3





გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „ნაციონალებს ხელისუფლების დამარცხებაზე მეტად მატერიალური მიზნები აწუხებთ“



## „ოპოზიციამ გაერთიანება უნდა შეძლოს“

სოსო ცინცაძე: „ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი იმედგაცრუებული და გულგატეხილია“

გვ.3

„დღეს პოლიტიკაში ყველაფერს დიდი ფული წყვეტს“

## „ნაცებს მხარდამჭერებიც აღარ ჰყავთ, საარჩევნოდ რეგისტრაცია მხოლოდ 30 ათასმა კაცმა გაიარა“



დათო ლორთქიფანიძე: „ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ხალხის წიაღიდან უნდა ამოხეთქოს“

გვ.4

## ჯემალ გამახარია: „შეიარაღების მოწოდება აქეთ გვჭირდება. რუსეთის არაადეკვატური ხელისუფლება რას მოიმოქმედებს, არ ვიცით“



გვ.2



გვ.3

## პრემიერ-მინისტრმა კრწანისში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი



უკრაინელი ექსპერტი: „უკრაინის შეიარაღებული ძალები მძლავრი თავდაცვითი ოპერაციისთვის უნდა მოემზადონ“

გვ.4

## „200-ათასიანი რუსეთის ჯარი ჩვენს სივრცეში თებერვლის მეორე ნახევარში ან მარტში გამოჩნდება“

1993230720223

5 მამუკა ხაზარაძე: „სამართლებრივი აბსურდი გრძელდება“

5 შალვა ხაჭაპურიძის ნარკოტესტის პასუხი ცნობილია

5 მამაკაცი ჯერ მოკლეს, შემდეგ გვამი დაანაწევრეს

6 რაში სჭირდება პუტინს მედვედჩუკი?!

# „ივანიშვილმა თავის ფინანსებს ქვეყანა როგორ გადააყოლა?! ოპოზიციამ იცის?!“

## თორნიკე შარაშენიძე: „ნაციონალებს ხელისუფლების დამარცხებაზე მეტად მატერიალური მიზნები აწუხებთ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**



***– ბატონო თორნიკე, შევაფასოთ ქვეყანაში არსებული ვითარება და ოპოზიციაში მიმდინარე ამბებით დავიწყოთ. დღეს და ხვალ ნაციონალურ მოძრაობაში არჩევნებია. ამ ფონზე მათ შორის დაპირისპირებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. რა ხდება, რატომ ჩავარდნენ ამ დღეში?***

– რა გითხრათ. ოჯახში რომ ჩხუბია, გარედან ერევიან? ჩვენც არ უნდა ჩავერიოთ. იჩხუბონ ოჯახში. ოჯახში ჩხუბი მაინც ყველაზე მძიმე და მწარეა ხოლმე.

***– მიხეილ სააკაშვილის პოზიციაზე რას იტყვით? არც ერთი კანდიდატის მიმართ არ გამოუხატავს მხარდაჭერა და საერთოდ არ გაუკეთებია არანაირი კომენტარი ამ საკითხზე. რატომ?***

– სააკაშვილმა რომ მხარი დაუჭიროს რომელიღაცას, განხეთქილება კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთება. ფაქტია, ორივე საკმაოდ ძლიერი ფრთაა. ჩემი აზრით, მას უნდა, რომ არჩევნები დასრულდეს და მერე იფიქროს, რა ქნას. დაუჭიროს მხარი გამარჯვებულს, ან უფრო მგონია, რომ მოუწოდებს დამარცხებულს, აღიაროს შედეგები და ითანამშრომლოს გამარჯვებულთან, რათა რაღაცნაირად სიმშვიდე შეინარჩუნონ პარტიაში. ვფიქრობ, რომ ასე იზამს.

***– დამარცხებული შეძლებს შეურიგდეს ბედს, ამხელა დაპირისპირების ფონზე თუ დაიშლება ნაციონალური მოძრაობა?***

– შერიგება თუ იქნება, ეს ნამდვილად არ იქნება ნამდვილი. ეს იქნება ფორმალური. რეალურად შერიგება ამხელა დაპირისპირების შემდეგ შეუძლებელია. მე ვერ წარმომიდგენია, მათ შორის სერიოზული თანამშრომლობა კიდევ შედგეს შიგნით. ალბათ მოვა დრო და გავიგებთ სიმართლეს. თუმცა, როცა პარტიას აქვს მიზნად დაამარცხონ პრორუსული რეჟიმი და გაათავისუფლონ საქართველო, თუ ასეა, მაშინ უნდა დაძლიონ შიდა უთანხმოებები. რადგან ვერ ძლევენ შიდა უთანხმოებებს, როგორც ჩანს, მარტო ეს არაა მათი მიზანი და სხვა მიზნები აქვთ.

***– რას გულისხმობთ?***

– შესაძლოა, მატერიალური მიზნები. როცა წმინდა მიზნები გაქვს, უნდა გაერთიანდე როგორმე. თუ პრორუს რეჟიმს ებრძვი, ეს ხომ წმინდა მიზანია, ხომ უნდა შეძლო და გაერთიანდეთ როგორმე?!

***– გაერთიანება ახსენეთ და რამდენიმე ოპოზიციურმა პარტიამ ერთიანი ეროვნული მოძრაობის დაწყება გამოაცხადა. 24 თებერვალს დიდ აქციას ვიწყებთო. ცოტა ხმამაღალი განაცხადი ხომ არ არის ამჟამინდელი ოპოზიციისგან ეროვნულ– განმათავისუფლებელ მოძრაობაზე საუბარი?***

– კი, ნამდვილად ასეა. მეც შემიძლია გამოვაცხადო მსგავსი რამ, მაგრამ არავინ მიიღებს ამას სერიოზულად. დიდი მიტინგის მოწყობის თავი მხოლოდ ორ პარტიას აქვს. ამ სამეულს, მე მგონი, ნამდვილად არა აქვს იმის საშუალება, რომ ბევრი ხალხი მოიყვანოს. რომც მოიყვანოს, რა, მერე?!

***– ხელისუფლებას აძლევენ სალაპარაკოს, რომ მეორე ფრონტის გახსნა უნდათ, ომში გვითრევენ და ა.შ.***

– ცხადია, ხელისუფლებას აწყობს მსგავსი განაცხადები. ეს მოდის ოპოზიციისგან, კასიანოვისგან თუ არესტოვიჩისგან, აწყობს ხელისუფლებას და აძლიერებს მის რიტორიკას, რომ აი, ომში გვითრევენ.

***– ოპოზიცია ჩივის, რომ ივანიშვილმა საკუთარ ფინანსებს გადააყოლა ქვეყანაო.***

– ჩემთვის გაუგებარია, ოპოზიცია რას გულისხმობს. საინტერესოა, როგორ გადააყოლა ივანიშვილმა თავის ფინანსებს ქვეყანა. ჩემთვის გაუგებარია მათი ლოგიკა. რას აკეთებს ივანიშვილი, რომ გადააყოლა ქვეყანა?! მე ვერ შევდივარ ამ მსჯელობაში.

***– ბატონო თორნიკე, ბოლო პერიოდია სულ უფრო მეტ საყვედურებს ვისმენთ ხელისუფლების მისამართით, მათი განცხადებები ღიად პრორუსული გახდაო. ასევე მათთვის მისაღებია რუსეთთან ფრენების აღდგენა. როგორ აფასებთ ამ ყველაფერს?***

– ჩვენ, პირველ რიგში, უნდა შევაფასოთ, აღმასრულებელი ხელისუფლება რა განცხადებებს აკეთებს. აქედან გამომდინარე უნდა გამოვიდეთ. აღმასრულებელი ხელისუფლება არასოდეს არ აკეთებს პრორუსულ განცხადებებს. საკამათო განცხადებები თუ მოდის, ეს უფრო მოდის მმართველი პარტიის ლიდერებისგან. მათი მხრიდან მოვისმინეთ სწორედ, რომ აი, მივესალმებით ფრენების აღდგენას. ფრენების აღდგენა რომც მოხდეს, რუსეთიდან ვინც შემოსასვლელი იყო, უკვე შემოსულია. მეტი რუსი აქ შემომსვლელი არ არის. ფრენების აღდგენა რეალურად ბევრს არაფერს არ წყვეტს და არ ცვლის.

***– დასავლეთის თვალში ეს იმიჯს გვილახავს, რუსეთი რომ გვაქებს...***

– ქართველი ძალიან მძიმედ რეაგირებს ხოლმე ნებისმიერი რუსის გამონათქვამზე. გაგვლანძღავენ, მძიმედ ვრეაგირებთ, შეგვაქებენ, მძიმედ ვრეაგირებთ. უკეთესია, რეაგირება თუ არ გვექნება საერთოდ.

***– კასიანოვი ახსენეთ და აუცილებლად უნდა გკითხოთ მის განცხადებებზეც. რას ნიშნავს ეს ყველაფერი? რატომ გახდა უკრაინელებისთვის საქართველო საშიში ქვეყანა? ზედმეტი ხომ არ მოუვიდა?***

– სიმართლე გითხრათ, ასეთი გაუაზრებელი განცხადება, რომელიმე დიპლომატისგან იშვიათად მახსენდება. რას იზამს, დაივლის სახლებს და უკრაინელებს აქედან წაიყვანს? სად მიჰყავს? როცა ასეთი გაჭირვებაა და ლტოლვილი უკრაინელების მიღება უჭირს ყველას, კასიანოვს სად მიჰყავს, საინტერესოა. უკან, კიევში აბრუნებს თუ რა ხდება?! კი, გასაგებია, რომ მძიმე ემოციური ფონი აქვთ, მაგრამ უნდა მოზომონ ლაპარაკის დროს. წავიყვანთ აქედან უკრაინელებსო. ჯერ ერთი, არ ეკითხება უკრაინელებს, უნდათ თუ არა წასვლა და მეორეც, ფრენების აღდგენას, რა, რუსების შემოსევა მოყვება?! შემოვიდა ყველა, ვინც შემოსასვლელი იყო. მორჩა, დამთავრდა ამით ყველაფერი.

***– უკრაინაზე ვსაუბრობთ და გუშინ კიევი კვლავ დაიბომბა რუსების მიერ. დასავლეთის მხრიდან მძიმე ტექნიკის გადაცემას, რუსეთის საპასუხო შეტევები მოჰყვაო. მოვლენების როგორ განვითარებას პროგნოზირებთ? რუსეთი ამ ომს ნათლავს, როგორც ომს რუსეთსა და დასავლეთს შორის. რას იტყვით თქვენ?***

– დასავლეთი რომ ეხმარება უკრაინას, ეს გასაგებია. თუმცა ეს ომი არის უკრაინაში და ამით ყველაფერი ნათქვამია. რაც შეეხება ამ დაბომბვებს, ზამთარი, პრინციპში, უკრაინელმა ხალხმა უკვე გადააგორა. ანუ რაზეც იყო გათვლა მოსკოვში, რომ ზამთარში დაბომბავდნენ ინფრასტრუქტურას და ელემენტარულად გაყინავდნენ უკრაინელ მოსახლეობას, როგორც ჩანს, ეს ვერ მუშაობს. ზამთრის ნახევარზე მეტი უკვე გავიდა და სადაც აქამდე გაძლო უკრაინელმა ხალხმა, კიდევ გაძლებს. მოსკოვის საბოლოო მიზანი, გაეყინა ხალხი და შემდეგ უკრაინელებს მოეთხოვათ კაპიტულაცია და მოლაპარაკება, ამას რუსეთმა ვერ მიაღწია.

***– უკრაინა უკვე სერიოზულ დახმარებას იღებს დასავლეთისგანო. ეს რამდენად შემოაბრუნებს სიტუაციას მათ სასარგებლოდ?***

– ეს იმდენად დიდი ფრონტია, რომ გაცილებით მეტი დახმარებაა საჭირო. ჩვენ რასაც ვუყურებთ, მატულობს ეს დახმარება და სწორედ ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი. ეს დახმარება ალბათ მივა იმ ეტაპამდე, რომ ომში მოახდინოს გარდატეხა. ჯერ რომ ამ ომის დასასრული არ ჩანს, ესეც ფაქტია. ჯერ ომი ვერ დასრულდება.

# „შეიარაღების მოწოდება აქეთ გვჭირდება. რუსეთის არაადეკვატური ხელისუფლება რას მოიმოქმედებს, არ ვიცით“

## ჯემალ გამახარია: „რუსეთი დაჭრილი დათვია, ამიტომ ჩვენი ყოველი განცხადება კარგად მოფიქრებული უნდა იყოს“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია პასუხობს.**



***– ბატონო ჯემალ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოჭის ადმინისტრაციამ საქართველოს ხელისუფლებას მიმართა ბათუმი-სოხუმი-სოჭის საზღვაო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე. ამის შესახებ თუ იცით?***

– დიახ, უბრალოდ, გაცხადებული სურვილი იყო, თორემ ამ საკითხზე არავითარი მოლაპარაკება არ მიმდინარეობს.

***– ვისი მხრიდან იყო გაცხადებული სურვილი?***

– სოჭის ადმინისტრაციის მხრიდან.

***– ზუსტად რომ გვითხრათ, რა შემოთავაზება იყო?***

– არავითარი ოფიციალური შემოთავაზება არ ყოფილა. ჩემთვის ასეთი შემოთავაზება უცნობია. როგორც ლავროვმა თქვა, რომ რუსეთი მზად არის საქართველოსთან ფრენები განაახლოს (სხვათა შორის, ეს პირველი განცხადება არ არის. ასეთი განცხადება ბევრჯერ გაკეთდა, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია), დაახლებით იგივენაირი განცხადებაა სოჭის ადმინისტრაციის მხრიდან გაკეთებული.

თვითონ მათი სურვილია აფხაზეთთან და საქართველოსთან საზღვაო მიმოსვლა განხორციელდეს. სოჭის ადმინისტრაციის მხრიდან საკითხის ასე დაყენება, „მიმოსვლის აღდგენა აფხაზეთთან და საქართველოსთან“, ამგვარ საზღვაო მიმოსვლას იმთავითვე გამორიცხავს.

***– მიმოსვლის ერთი ხაზი იქნებოდა, ანუ ბათუმიდან წავიდოდა სოხუმში, სოხუმიდან სოჭში და პირიქით?***

– საქართველოს მხრიდან ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა. სოჭის ადმინისტრაცია რას გულისხმობდა, ჩემთვის უცნობია, ერთი ხაზი იგულისხმებოდა თუ ორი. საქართველომ მათი ეს სურვილი რეაგირების გარეშე დატოვა.

***– როგორ ფიქრობთ, სოჭის ადმინისტრაცია, კრემლთან შეთანხმების გარეშე, დამოუკიდებლად ამას გაბედავდა?***

– მიმაჩნია, რომ ეს სურვილი ლავროვის განცხადების გაგრძელებაა.

***– როგორ ფიქრობთ, ასეთი განცხადებებით რუსეთს რისი მიღწევა სურს?***

– მათ სურთ, ევროკავშირსა და სხვა მოკავშირეებთან ურთიერთობა გაგვირთულონ.

***– და ჩაშალონ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მონიჭება.***

– დიახ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ადრე ფრენები ხომ ხორციელდებოდა, გავრილოვის გაძევების შემდეგ შეწყდა და ამის გამო რუსეთში მცხოვრები ჩვენი ათობით ათასი მოქალაქე დისკრიმინაციას განიცდის. ამიტომ მიმოსვლის აღდგენა, საერთოდ, პრობლემა არ უნდა იყოს.

***– თუმცა, ძალიან რთულ პირობებსა და პერიოდში ხდება ამ შეთავაზების გაკეთება, რაც ბევრს აძლევს საშუალებას, ამით აპელირებდეს.***

– ასეთი განცხადებები რთულ პერიოდში სხვადასხვა ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

***– უკრაინისთვის შეიარაღების გაგზავნის მოთხოვნა მუდმივი თემაა. ახლახან უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა კასიანოვმა განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობას 30-ჯერ მიმართა, მაგრამ იარაღი არ მიაწოდეს. თქვენ ამ ფაქტს როგორ უყურებთ?***

– მე ძალიან ვწუხვარ იმის გამო, რომ უკრაინის თემა შიდა დაპირისპირების საგანი გახდა და ამ დაპირისპირებაში უკრაინის ოფიციალური პირებიც არიან ჩართული. ჩვენი მეგობარი ქვეყნების, საქართველოსა და უკრაინის შემდგომი ურთიერთობებისთვის ეს ძალიან ცუდია.

მეორე – რუსეთის საოკუპაციო ძალები თბილისთან ახლოს დგანან. კიევთან ახლოს რუსეთის საოკუპაციო ძალები არ დგანან. ისინი იქიდან განდევნეს. რუსული საოკუპაციო ძალები კიევიდან რამდენიმე ასეული კილომეტრით დაშორებული არიან, რამდენიმე რეგიონი, ოლქი თუ რაიონი აქვთ დაკავებული, მაგრამ დედაქალაქთან არ დგანან.

ამიტომ ჩვენთან უფრო რთული მდგომარეობაა, რადგან მტერი თბილისთან ახლოს დგას, შეიარაღება ჩვენ ვის უნდა მივაწოდოთ. შეიარაღების მოწოდება აქეთ გვჭირდება. ჩვენ არ ვიცით, ხვალ-ზეგ რუსეთის არაადეკვატური ხელისუფლება რას მოიმოქმედებს.

შეიარაღება ჩვენ თვითონ გვჭირდება. საქართველოს შეიარაღებას არავინ აწვდის. ჩვენ იარაღის შესყიდვა გვიხდება. იარაღს არც ამერიკელები გვაწვდიან და არც – ნატო. სხვათა შორის, იყო პერიოდი, როდესაც საქართველოსთვის იარაღის მიყიდვა აკრძალული ჰქონდათ.

***– დიახ, 2008 წლიდან 2014 წლამდე, მაგალითად, აშშ-ს საქართველოსთვის იარაღის მოყიდვაზე ემბარგო ჰქონდა დაწესებული.***

– როგორ შეიძლება საქართველოს იარაღის ვინმესთვის გადაცემა სთხოვო, როდესაც ჩვენ იარაღი გვჭირდება. ვფიქრობ, ეს ყველაფერი ჩვენი ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვისთვის კეთდება.

ძალიან სამწუხაროა, რომ ამ პროცესში უკრაინის ელჩის მოვალეობის შემსრულებელია ჩართული და სრულიად არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს. ეს მე ადამიანურად ძალიან მაწუხებს.

***– ასეთ დამოკიდებულებას რას მიაწერთ? კასიანოვმა ახლახან განაცხადა, რომ თუ საქართველო რუსეთთან ფრენებს აღადგენს, საქართველოში უკრაინელ ლტოლვილებს საფრთხე შეექმნებათ და შეიძლება უკრაინას თავისი მოქალაქეების გაყვანა მოუწიოსო.***

– იმდენად არასერიოზული განცხადებაა, რომ უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს უარყო. ასეთი განცხადება ამ რანგის დიპლომატს ნამდვილად არ შეეფერება.

***– შეიძლება ვთქვათ, რომ თვითონ უკრაინის ხელისუფლებაშიც არაჯანსაღი სიტუაციაა, რომელსაც რაღაც ძალები ქმნიან?***

– გამორიცხული არ არის, რომ კასიანოვს ამ განცხადების გაკეთება ვიღაცამ დაავალა იმისათვის, რათა საქართველოში პოლიტიკური

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ISSN 1987-9385

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიციამ გაერთიანება უნდა შეძლოს“

## სოსო ცინცაძე: „ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი იმედგაცრუებული და გულგატეხილია“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, როგორია თქვენი მოლოდინი ახალ ოპოზიციურ გაერთიანებასთან დაკავშირებით, რომელზეც ელენე ხოშტარია, ზურა ჯაფარიძე და გიორგი ვაშაძე საუბრობენ?***

– მე არ ვარ მომხრე, ჯერ არ შექმნილ გაერთიანებას განაჩენი გამოვუტანო. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცუდი, პესიმისტური გამოცდილება და გაკვეთილები გავიარეთ ოპოზიციურ ფლანგზე. ძალიან კარგად გვახსოვს ხან წიწამურში, ხან მამა დავითზე როგორ ადიოდა ოპოზიცია და როგორ დებდა ფიცს, რომ გაერთიანდებოდნენ და საქმეს ბოლომდე მიიყვანდნენ, მაგრამ მერე ეს ფიცი არავის ახსოვდა. მიუხედავად ამ გამოცდილებისა, შანსი არ უნდა წავართვათ და წინასწარ არ უნდა ვთქვათ, რომ არაფერი არ გამოუვათ. პოლიტიკოსი ის არის, ვინც ერთ პატარა ნაპერწკალს ეკიდება, ხელჩაქნეული პოლიტიკოსისგან არაფერი გამოვა.

უმთავრესი ის არის, რომ ეს ოპოზიცია გაერთიანების, კოალიციის მოთხოვნილებას გრძნობს. ცარიელ ადგილზე კი გაერთიანება და კოალიციები არ იქმნება. შეიძლება გამოუვიდეთ და შეიძლება არც გამოუვიდეთ, მაგრამ ისინი პოლიტიკოსები არიან და ამიტომ ცდას არ აკლებენ. ვნახოთ. მით უფრო, ჩვენ არ ვიცით, რა მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარეს.

შეიძლება დღე და ღამე მუშაობენ. შეიძლება სერიოზული დაფინანსებაც მოიზიდეს. ვინ ვინ და მათ, რადგან ძალიან გამოცდილი პოლიტიკოსები არიან, უნდა იცოდნენ, რომ დაფინანსების გარეშე არაფერი არ გამოვა. იქნებ აქვთ კიდეც ფინანსური რესურსი მობილიზებული. ადრე პოლიტიკაში დიდი ფული არ იყო გადამწყვეტი, სხვა ფაქტორები ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო, ახლა, სამწუხაროდ, ასე არ არის. დღეს ლამის ყველაფერი დიდმა ფინანსებმა გადაწყვიტოს. როგორც ჩანს, ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული. უფულოდ რომ არაფერი გაკეთდება, დარწმუნებული ვარ, ეს ამ ლიდერებმაც შესანიშნავად იციან.

***– რას იტყვით თვითონ სამეულზე?***

– ესენი ახალგაზრდები არიან, რაც ძალიან კარგია. ახალგაზრდები არიან, მაგრამ არა ნეოფიტები პოლიტიკაში. მათ სერიოზული გამოცდილება დაუგროვდათ ამ წლების მანძილზე. რაც მთავარია, მათ სახელს არ უკავშირდება სკანდალები და კორუფცია. კარგი სკოლა აქვთ გავლილი. ვფიქრობ, კარგი ნიადაგიც აქვთ, რომ თესლმა გაიხაროს.

***– რას გულისხმობთ? რამდენად არის ხალხი მზად, როგორია განწყობები თქვენი აზრით?***

– დღეს ქუჩაში ათი ადამიანი რომ გააჩერო, აქედან ცხრა უკმაყოფილოა. ცხრა ადამიანს ნამდვილად აქვს ცვლილების მოთხოვნილება. ხალხი ცვლილებებისთვის ნამდვილად მზად არის, მაგრამ პესიმისტური განწყობები სჭარბობს. ნიჰილიზმშია ხალხი ჩავარდნილი, რაც ძალიან



**„დღეს პოლიტიკაში ყველაფერს დიდი ფული წყვეტს“**

ცუდია. ოპოზიციაში ალტერნატივას ვერ ხედავენ. ამ რეალობის შეცვლა თუ შეძლო ამ სამმა ლიდერმა, მაშინ გამოუვათ, მაგრამ ამისთვის ძალიან დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი.

***– მორიგი იმედგაცრუება რომ არ გამოიწვიონ, რას ურჩევდით?***

– ძალიან რთულია. ბევრი მუშაობა და ანალიზია საჭირო. დაშვებული შეცდომების განმეორება დანაშაულის ტოლფასი იქნება. ეს იმედგაცრუება, რაც ხალხშია, რასაკვირველია, მათ ამოცანას ართულებს.

***– რა არის მათი პლუსი თუ შეიძლება ასე ითქვას?***

– ეს ლიდერები არ არიან გასვრილები და ისინი გულწრფელები არიან, როგორც ეს ახალგაზრდებს შეეფერებათ, რაც ძალიან კარგია.

***– ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის არჩევნების შედეგები რამეს შეცვლის?***

– არა მგონია. მეტიც, შეიძლება ითქვას, კარგი დროც კი არის, რადგან ნაციონალების ბევრი განაწყენებული ამომრჩეველი პარტიაში მიმდინარე სკანდალებით, შეიძლება ამ სამეულის ამომრჩეველი გახდეს. ჩვენ, არც გერმანელები ვართ და არც ინგლისელები, რომ პარტიის იდეოლოგიის ერთგულება სიკვდილამდე შევინახოთ. აშკარად ჩანს, რომ ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი იმედგაცრუებული და გულგატეხილია. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ არჩევნებზე რეგისტრაცია 50 ათასმა ადამიანმა გაიარა. არადა, საუბარია პარტიაზე, რომლის მხარდამჭერების რაოდენობაც 500 ათასს აჭარბებდა. სამწუხაროა, როდესაც დემოკრატიის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ბერკეტიც ქრება. ძლიერი ოპოზიციური პარტია, რომელმაც ხელისუფლება წააგო და 10 წელი ძლიერად იდგა, სუსტდება.

მე ვთვლი, რომ ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის, მისი დემოკრატიული განვითარებისთვის ოპოზიციამ გაერთიანება უნდა შეძლოს. თურქეთში ოპოზიციური პროდასავლური ექვსი პარტია 14 მაისს დაგეგმილი არჩევნებისთვის გაერთიანდა მიუხედავად იმისა, რომ ერდოღანი კვლავ იბრძვის ძალაუფლების შენარჩუნებისთვის. საქართველოშიც ოპოზიციის გაერთიანებას ალტერნატივა არა აქვს.

# პრემიერ-მინისტრმა კრწანისში გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესთან და თავდაცვის ძალების მეთაურ გიორგი მათიაშვილთან ერთად, კრწანისში კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი, რომელსაც გენერალ გიორგი მაზნიაშვილის სახელი მიენიჭება.

მთავრობის მეთაურმა, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებთან ერთად, შენობის ფუნდამენტში კაფსულა ჩადო და მოისმინა დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი სამუშაოების შესახებ.

თავდაცვის სამინისტრომ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მშენებლობა დაიწყო. ლიცეუმის ტერიტორიაზე აშენდება ახალი ფუნქციური შენობები, ხოლო იქ არსებულ ობიექტებს სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდება.

42 ჰექტარ ტერიტორიაზე დაგეგმილია 400 კადეტზე გათვლილი საცხოვრებელი და სასწავლო კორპუსების, სასადილოსა და ლაზარეთის შენობების, აგრეთვე საკონფერენციო დარბაზისა და ადმინისტრაციული კორპუსის სრული რეკონსტრუქცია. ასევე, აშენდება სიმულაციის ცენტრი, დახურული სპორტული დარბაზი, ინფრასტრუქტურის სამსახურის შენობა და საკონტროლო გამშვები პუნქტი. ტერიტორიაზე მოეწყობა ახალი ავტოსადგომი, საწვავგასამართი სადგური, ავტოსამრეცხაო და სატრანსპორტო საშუალებების სარემონტო უბანი. კადეტთა სამხედრო ლიცეუმის მშენებლობისთვის 40 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი.

დასავლეთ საქართველოში, ქუთაისში წლებია წარმატებით ფუნქციონირებს გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი. ახალი ლიცეუმი დასავლეთ საქართველოს ლიცეუმის ანალოგი იქნება და აღმოსავლეთ საქართველოს დაფარავს.

# ირაკლი კობახიძე შვეიცარიულ ბანკს ბიძინა ივანიშვილის დაყაჩაღებაში ადანაშაულებს



ირაკლი კობახიძე შვეიცარიულ ბანკს ბიძინა ივანიშვილის ყაჩაღობაში ადანაშაულებს. როგორც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ განაცხადა, „ვილაცებს სურთ, აიძულონ ბიძინა ივანიშვილი, მისი ნების წინააღმდეგ, დაბრუნდეთ პოლიტიკურ პროცესში“.

კობახიძე კვლავ იმეორებს, რომ ვილაცებს სურთ, ივანიშვილმა „გააკეთოს ის, რაც არ უნდა გაკეთდეს, გამომდინარე იქიდან, რომ ეს ყველაფერი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება“.

– გაუგონარი პროცესები წარმოებს, რაც დაკავშირებულია თანხების მიტაცებასთან. ეს არის ჩვეულებრივი ყაჩაღობა, რასაც ვაკვირდები ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ შვეიცარიულ ბანკში, რომლის რეპუტაცია უკვე არის გაცამტვერებული და ამის თაობაზე, საერთაშორისო მედია ძალიან ფართოდ საუბრობს. მთავარია, აქ თუ რა არის მოტივი. მოტივი არის პოლიტიკური ცალსახად, რაზე მინიშნებებიც ჰქონდა თავად Credit Suisse-ს. თავად ბიძინა ივანიშვილმაც თავის წერილში რამდენიმე თვის წინ, აქცენტი გააკეთა, რომ ყველაფრის თავი და თავი არის პოლიტიკური შანტაჟი, – განაცხადა კობახიძემ.

# რატი ბრეგაძე: „ცენტრ „ემპათიას“ მიერ გამოტანილი სააკაშვილის დიაგნოზები არ არის სარწმუნო“



„სამხარაულის დასკვნით, ცენტრ „ემპათიას“ მიერ გამოტანილი დიაგნოზები არ არის სარწმუნო“ – ამის შესახებ იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე საგანგებო ბრიფინგზე საუბრობს.

– ჩვენ მივიღეთ ლევან სამხარაულის ეროვნული ბიუროდან 2023 წლის 26 იანვარს დასკვნა, რაც მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას. ეს არის ფსიქიატრიული, გასტროენტეროლოგიური და ნევროლოგიური დიაგნოზები და თამამად უნდა ითქვას, რომ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის შესაბამისად, ცენტრ „ემპათიას“ მიერ გამოტანილი დიაგნოზები, როგორიც არის ფსიქიატრიული, გასტროენტეროლოგიური და ნევროლოგიური დიაგნოზები, არ არის სარწმუნო და უტყუარი.

ეს დასკვნა წარედგინება სასამართლოს შესაბამისი წესით და, ბუნებრივია, გაგრძელდება შემდგომი მსჯელობა სასჯელის გადავადებასა და მისი შემდგომი მოხდისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებით სასამართლოში, – ამბობს ბრეგაძე.

# „შეიარაღების მოწოდება აქეთ გვჭირდება. რუსეთის არაადეკვატური ხელისუფლება რას მოიმოქმედებს, არ ვიცით“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ვითარება კიდევ უფრო დაიძაბოს, მაგრამ ოპოზიციის ნაწილის დამოკიდებულება ამ განცხადებასთან დაკავშირებით ძალიან სწორი და სახელმწიფოებრივი იყო, რასაც მე მივესალმები.

***– უკრაინა-რუსეთის ომის პირობებში აფხაზეთში რუსეთის საოკუპაციო ძალები როგორ იქცევიან, აფხაზეთში რა ვითარებაა?***

– აფხაზეთში ძალიან მძიმე ვითარებაა. საქართველოს მოსახლეობის, ალბათ, 99% რუსეთის დამარცხებასა და უკრაინის გამარჯვებაზე ოცნებობს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე პირიქითაა. აფხაზეთში, ალბათ, 99% ოცნებობს, რუსეთმა გაიმარჯვოს.

***– რატომ?***

– მათ იციან, რომ რუსეთის დამარცხების შემთხვევაში, ფსევდოფორმირებები და ფსევდოსახელმწიფოები, როგორიც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებია, ვერ იარსებებენ. საერთაშორისო ურთიერთობებში, საერთაშორისო პოლიტიკაში მათი ადგილი არ იქნება. ეს მათ ძალიან კარგად იციან და ძალიან ნერვიულობენ.

***– მოსახლეობაც ნერვიულობს? მოსახლეობას ხომ არავინ შეეხება? შეიძლება სეპარატისტთა ლიდერები იქ ველარ გაჩერდნენ, იმ შემთხვევაში თუ რუსეთი დამარცხდება და აფხაზეთი საქართველოს დაუბრუნდება, მაგრამ მოსახლეობას ხომ არავინ შეეხება, რა ანერვიულებთ?***

– მათ მიაჩნიათ, რომ დამოუკიდებლები არიან და ე.წ. დამოუკიდებლობას დაკარგავენ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. მათი აზრით, დამოუკიდებლობა ფორმალური კი არ არის, არამედ ნამდვილია. ჩვენ „დამოუკიდებლობა“ მოვიპოვეთ, რუსეთი ჩვენ გვიცავს, სტრატეგიული პარტნიორიაო.

ამ დროს აღმოჩნდება, რომ ეს ყველაფერი ფიქციაა. მათი ე.წ. „დამოუკიდებლობა“ ფიქცია იყო და ფიქცია არის და მომავალშიც ფიქცია იქნება.

რუსეთის დამარცხების შემთხვევაში ვითარება რადიკალურად შეიცვლება, რაც მოსახლეობის დიდ ნაწილს, ბუნებრივია, აწუხებს.

***– საოკუპაციო ძალების კონტინგენტი შემცირდა?***

– შემცირდა. საოკუპაციო ძალების დიდი ნაწილი უკრაინაშია გადასროლილი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აფხაზეთში საკმარისი ძალები არ არის. თუ საქართველოს მხრიდან რამე საფრთხე დაემუქრებათ, შემოტევისთვის ძალა არ ექნებათ.

საქართველოს მხრიდან ასეთი საფრთხე არ არსებობს, მაგრამ თუ თეორიულად მათ მაინც მიაჩნიათ, რომ საფრთხე არის, აფხაზეთში რუსეთს საკმარისი ძალები ჰყავს იმისათვის, რომ ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკა დაიცვან.

მთელი საქართველო, საქართველოს მთავრობა უკრაინას აბსოლუტურად მხარს უჭერს და ყველა შესაძლებლობას იყენებს იმისათვის, რომ უკრაინას პოლიტიკურად (რეალურად, ყველა დონეზე მხარდაჭერით) თუ ჰუმანიტარულად დაეხმაროს.

საქართველოს, რომელიც თვითონაც ოკუპაციის ქვეშ არის, მტერი დედაქალაქთან ახლოს დგას, სხვა შესაძლებლობა არ აქვს. ამიტომ მოვუწოდებ ყველას, უკრაინასა და საქართველოში, უკრაინის თემას, რომელიც თითოეული ჩვენთაგანისთვის წმინდაა, პოლიტიკური დაპირისპირების საგნად ნუ გახდიან.

შიდა პოლიტიკური ბრძოლის არენიდან ეს თემა უნდა მოიხსნას. ეს არის საერთო პრობლემა, რომელიც ყველას უნდა გვაერთიანებდეს. ისევე, როგორც ევროკავშირში გაწევრიანება, კანდიდატის სტატუსის მოპოვება ყველა პოლიტიკურ პარტიას უნდა აერთიანებდეს, ზუსტად ასე, ეს თემა გამაერთიანებელი უნდა იყოს.

***– იმდენად მცირერიცხოვანი ერი ვართ, ხანდახან ვფიქრობ, ქართველი ერი სასათბურე პირობებში უნდა იყოს, რომ ფიზიკურად გადარჩეს-მეთქი. მაგრამ სასათბურე პირობებს ვინ შეგვიქმნის.***

– სასათბურე პირობებს არავინ შეგვიქმნის. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება თავიდან ავიცილოთ. დღეს რუსეთი დაჭრილი დათვია და საშიშია.

***– რუსეთი დაჭრილი რატომ არის? პირიქით, რუსეთმა უკრაინა დაჭრა.***

– რუსეთი დღეს დაჭრილი დათვია. დარწმუნებული ვარ, რუსეთის ჭრილობა კიდევ უფრო გაღრმავდება და ის კიდევ უფრო საშიში გახდება, ამიტომ ჩვენი ყოველი განცხადება კარგად მოფიქრებული და კარგად გააზრებული უნდა იყოს.

# „ნაცებს მხარდამჭერებიც აღარ ჰყავთ, საარჩევნოდ რეგისტრაცია მხოლოდ 30 ათასმა კაცმა გაიარა“

## დათო ლორთქიფანიძე: „ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ხალხის წიაღიდან უნდა ამოხეთქოს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.



***– ბატონო დათო, ნაცმოძრაობაში პროცესები ისე ვითარდება, ნაცხელისუფლების მთელი ანატომია ზედაპირზე ამოტივტივდა. ნაცმოძრაობის შიდა კლანები ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მეტ ცუდს გამოუვლენს მეორეს. ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ მზადაა თავისი მომხრეების მობილიზაცია მოახდინოს, არაფერს მოერიდოს, შევარდეს და პატიმარი სააკაშვილი დაიხსნას. შევარდნაძის განათლების მინისტრ კარტოზიას გამონათქვამი გამახსენდა: ნაცები შევარდნენ იქ, შევარდნენ აქ და კმარა შევარდნაო. თურმე ნაცებისთვის შევარდნა არ კმარა. თქვენ რა დამოკიდებულება გაქვთ ამ პროცესისადმი?***

– ამ პროცესის ყურება, საერთოდ, არ მინდა. ე.წ. ოპოზიციურ პარტიაში რა ხდება, საერთოდ, არ მაინტერესებს. თუმცა, რადგან პოლიტიკაში ვარ და ესენიც, ჯერჯერობით, ქართულ პოლიტიკაში არიან, გინდა-არგინდა ყურადღება უნდა მიაქციო. მათ შეფასებას სულ ორ სიტყვაში ჩამოვაყალიბებ: რაც ალხანა, ის ჩალხანა! ნაცმოძრაობის ამ კლანებს შორის განსხვავებას ვერ ვხედავ.

ხაბეიშვილის ეს მოწოდება, თავისი მხარდამჭერების შეგულიანებაა – თუ პარტიის თავმჯდომარე მე ვიქნები, პატიმარ მიხეილ სააკაშვილს შევუვარდები და იქიდან გამოვიყვანო. სრულიად არასერიოზული მიდგომაა, რაც ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში მიუღებელია.

პოლიტიკოსები ასეთი განცხადებებისაგან თავს უნდა იკავებდნენ, მაგრამ ამით თავისი თავის ლუსტრაციას ახდენენ. ამას პოლიტიკასთან ნაკლები კავშირი აქვს. ეს არის მთელი უბედურება.

ბევრი ამას ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ ნაცმოძრაობის წინა, შიდა არჩევნებში, როდესაც მელია აირჩიეს, დაახლოებით 20 ათასი კაცი მონაწილეობდა. ამბობენ, რომ 24 იანვრის მონაცემებით, რეგისტრაცია დაახლოებით 30 ათასმა კაცმა გაიარა.

აბსოლუტურად სამარცხვინო სიტუაციაა. 21-ე საუკუნეში, ტექნოლოგიების ხანაში, არ თქვას ვინმემ, რომ ნაცმოძრაობის მხარდამჭერ 30 ათასზე მეტ კაცს კომპიუტერთან წვდომა არ აქვს. ფაქტია, რომ მხარდამჭერებიც არ ჰყავთ...

ბოლოს შეგვრჩება მაქსიმუმ 30 ათასი კაცის მიერ არჩეული ან ვილაც ადამიანი, რომელიც სადღაც შევარდნას გვპირდება, ან მეორე, რაღაც ფარულ ჩანაწერზე ბოლომდე კომენტარს და განმარტებას რომ არ აკეთებს და არ ამბობს, ჩანაწერი, სააკაშვილს რომ აგინებდა, ტყუილია თუ მართალი.

ან შეგვრჩება სხვა კანდიდატი, რომელიც აანონსებს, რომ თუ ის ნაცმოძრაობის თავმჯდომარე გახდება, ნაცდეპუტატებს პარლამენტიდან გამოიყვანს. მოკლედ, დესტრუქციის მთელი კასკადია. რაც ალხანა, ის ჩალხანა. ყველა კანდიდატი ერთნაირია.

რაც უნდა ის უკეთებიათ. სიმართლე გითხრათ, არ მაინტერესებს. ნაცმოძრაობას, პოლიტიკურ ძალად არასოდეს მივიჩნევდი, ახლა, მით უმეტეს, ჩვენი ამომრჩეველი რაც მალე გაერკვევა, მით უკეთესი იქნება, რომ ნაცმოძრაობა, როგორც პოლიტიკური ძალა, დასრულდეს.

***– მუდმივად საუბარია, საქართველოში რუსული რბილი ძალის მოქმედებაზე. ალბათ, რბილი ძალის მოქმედება ფარულად ხდება, მაგრამ როდესაც პოლიტიკურ სპექტრს და პოლიტიკური სუბიექტების მოქმედებას შეხედავთ, რა შთაბეჭდილება გრჩებათ საქართველოში რბილი თუ ღია ძალის მოქმედებაზე?***

– რბილ ძალაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ოპოზიციაში ამ მხრივ დაუფარავად მოქმედი ძალა რომ არის, ფაქტია. ისინი ქართულ სახელმწიფოს ღიად ებრძვიან.

***– თუმცა, ოპოზიციაში მუდმივად აფიქსირებენ, რომ პროდასავლური ძალები არიან. აი, მაგალითად, ელენე ხოშტარია ახლახან ევროპული გზის გაქრაზე საუბრობდა და კიდევ ორ სუბიექტთან ერთად თითქოს ახალი იდეა წამოაყენა. თქვენ რას იტყვით ამაზე?***

– ეს მათი სტრატეგიაა. რაც შეიძლება ბევრი ილაპარაკო და მისი ნახევარი ფანტასტიკის სფეროდან იყოს. ამას ლაპარაკობს ადამიანი, რომელსაც წლების განმავლობაში მამიკომ, რომელიც ერთ დროს საგარეო საქმეთა მინისტრი გახლდათ, ლიმიტი შეუნახა.

ახლა ხოშტარია თითქოს იმ ქვეყანას ებრძვის, რომლის სასწავლებლის კვოტა მამამ შეუნახა, მერე სასწავლებლად მოსკოვში, მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში (მგიმოში) გაუშვა. ამ ინსტიტუტდამთავრებულ ხალხს, ცივილიზებული ევროპა სამსახურებიდან პანტაპუნტით ყრის. მათ შორის, პოლონეთმა ყველა დიპლომატი, ვისაც ამ ინსტიტუტის დიპლომი ჰქონდა, დაითხოვა.

ახლა ელენე ხოშტარიას ოჯახი რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 10 ათასობით დოლარს იღებს, ვირსალაძის სხვა მემკვიდრე კი, წლის განმავლობაში სულ რაღაც ასეულ ლარს იღებს. აქ ლოგიკა სად არის? ბევრი მომენტია საეჭვო.

***– მაგალითად?***

– მაგალითად, გავრილოვის ინციდენტი საქართველოს პარლამენტში. როგორ მოახერხა ქალბატონმა ხოშტარიამ წინასწარ ინფორმაციის მიღება?

***– გგონიათ, რომ გავრილოვთან დაკავშირებული პროცესები წინასწარ იგეგმებოდა?***

– როგორ მოახერხა ელენე ხოშტარიამ, რომ პარლამენტის დარბაზში გავრილოვთან დაკავშირებით პროტესტის დროს, მაისურები და ბანერები წინასწარ ჰქონდა დაბეჭდილი. ეს ხომ არ შეიძლება ერთ საათში და ერთ დღეში გააკეთო. წარმოუდგენელი ამბავია.

უფრო მეტიც, პოზნერის საქართველოში ყოფნისას, ელენე ხოშტარიამ როგორ მოახერხა, პოზნერის ერთი ლოკაციიდან მეორეზე გადასვლა მისთვის ცნობილი ყოფილიყო და იქ თავის ათეულ აქტივისტთან ერთად დახვდა. ამიტომ ეს ყველაფერი კითხვის ნიშნებს ბადებს.

***– რა კითხვის ნიშნებს ბადებს? ელენე ხოშტარიამ წინასწარ იცოდა? შეიძლება მოსკოველმა, ინტიტუტის დროინდელმა მეგობრებმა შეატყობინეს. მერე რა?***

– რა და მათ ინტერესშია საქართველოში დაძაბულობა იყოს და იმ სახელმწიფოს, რომელიც ჩვენს ტერიტორიაზეა შემოჭრილი, 20% აქვს ოკუპირებული, 50 კილომეტრში სამხედრო ბაზა აქვს, ხელი შეუწყოს იმაში, რომ საქართველოს წინააღმდეგ მორიგი აგრესიული ქმედებები ჩაიდინოს.

ბევრ რამეს ამბობენ. ახლა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დააფუძნეს ელენე ხოშტარიამ, „გირჩმა“ – ჯაფარიძემ და „სტრატეგია აღმაშენებელის“ გიორგი ვაშაძემ. მათ წმინდა სახელები დაისაკუთრეს, დავით აღმაშენებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ხალხის წიაღიდან უნდა ამოხეთქოს. ცივილიზებული ქართველები ვაღიარებთ, რომ ჩვენთვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სათავეებთან იდგნენ ილია ჭავჭავაძე (რომელიც პროგრესის შემომტანი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო), ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

ეს ადამიანები ამდენ თავხედობას როგორ ბედავენ (თავხედობასაც საზღვარი აქვს), რომ უნივერსიტეტის კიბეებზე აფუძნებენ „ახალ“ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ეს ჩემთვის, ადამიანისთვის, რომელსაც წინა საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ყველა აქტივობაში მონაწილეობა მაქვს მიღებული, მიუღებელია.

ალბათ, ახლა მაგათ ვიღაცამ დაუწერა სცენარი, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფლაგმანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო. ფიქრობენ, თუ იქიდან თავიანი ზრახვების შესახებ მოუყვებიან, ქართველი ხალხი ამას დაიჯერებს და 24 თებერვალს ქართულ სახელმწიფოს კუდით ქვას ასროლინებენ.

ეს სამშობლოს შეწირული, ნამდვილი ღირსებული ქართველების წინაშე, წარმოუდგენელი თავხედობაა.

***– რუსეთის გეგმაში კიდევ რა შეიძლება იყოს?***

– რუსეთის გეგმაშია არეული საქართველო, მიტინგები ქუჩაში, დარბევები, წკიპზე შემდგარი სახელმწიფოებრიობა. საქართველოს ინტერესებში ეს არ არის. საქართველოს მტრების ინტერესებში მშვიდობიანი საქართველო არ შედის, რომელიც განვითარებასა და პროგრესზეა ორიენტირებული.

# „200-ათასიანი რუსეთის ჯარი ჩვენს სივრცეში თებერვლის მეორე ნახევარში ან მარტში გამოჩნდება“

## უკრაინელი ექსპერტი: „უკრაინის შეიარაღებული ძალები მძლავრი თავდაცვითი ოპერაციისთვის უნდა მოემზადონ“

მარიამ მჭედლიშვილი

როგორც ცნობილია, გერმანიის მთავრობამ, საბოლოოდ, მიიღო გადაწყვეტილება უკრაინისათვის ძირითადი საბრძოლო ტანკების – ლეოპარდი 2-ის გადმოცემაზე. მოსალოდნელია, რომ უკრაინა გერმანიის ფედერაციისგან მიიღებს 10-14 ასეთ მანქანას. გერმანიის თანხმობით, ლეოპარდებს უკრაინას სხვა მოკავშირეებიც გამოუგზავნიან. იმავდროულად, დაგეგმილია ძირითადი საბრძოლო ტანკების – აბრამსების აშშ-დან მიღება. მანამდე, რამშტაინის ფორმატის ფარგლებში შეკრებილი სახელმწიფოები ლეოპარდების გამოგზავნაზე ვერ შეთანხმდნენ. საბოლოოდ, ყველაფერი მოგვარდა. უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, ვალერი ზალუჟნის გათვლით, უკრაინას ესაჭიროება 300 ძირითადი საბრძოლო ტანკი კონტრშეტევისათვის. როგორც ჩანს, ფრონტზე კრიტიკული მომენტი დგება. ეს, სავარაუდოდ, გამოიწვევს კრემლის პროპაგანდისტების გააქტიურებას, მათ შორის, საქართველოში.
რა არის მოსალოდნელი ფრონტზე? რა უნდა მოიმოქმედოს უკრაინის არმიამ? რით არის განსაკუთრებული და რატომაა უკრაინისათვის ხელსაყრელი გერმანული ლეოპარდები? – ამ და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიას ესაუბრა უკრაინელი სამხედრო ექსპერტი ოლეგ ჟდანოვი.



**ოლეგ ჟდანოვი:**

– 1991 წლის საზღვრებზე გასვლა (მაშინდელი მდგომარეობის აღდგენა) ეს რამდენიმე თვის ან ერთი წლის ამბავია. პუტინი ამზადებს შეტევას, რომლის შესახებ გაგვაფრთხილა უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ზალუჟნიმ, როცა ლაპარაკობდა რუსების 200-ათასიანი ჯარის მომზადებაზე. დაახლოებით თებერვლის მეორე ნახევარში ან მარტში ეს ჯარები გამოჩნდებიან ჩვენს სივრცეში და შეეცდებიან შეტევითი ოპერაციის განხორციელებას დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების დასაკავებლად. ჩვენი ნომერ პირველი ამოცანაა ამ შეტევების მოგერიება.

ომის დამთავრების თაობაზე ოპტიმისტური პროგნოზი დამოკიდებული იქნება ბრძოლის შედეგზე. თუ ჩვენ მას წავაგებთ, შეიძლება მივიღოთ გაჭიანურებული ომი. თუ ვიმარჯვებთ, თუ გამანადგურებელ დარტყმას მივაყენებთ რუსეთის არმიას, მაშინ შეიძლება ველოდოთ კარგ პერსპექტივას ომის დამთავრების თვალსაზრისით.

***– რით არის განსაკუთრებული გერმანული ტანკები ლეოპარდი 2? რატომ გვჭირდება ასე?***

– ლეოპარდი 2-ის ტანკებს პირველი პოზიციები უკავია მსოფლიო ტანკმშენებლობის რეიტინგში. ეს საუკეთესო ტანკია. ლეოპარდი ა 7-ის ვერსია ტანკებს შორის ლიდერია. თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური თვისებებით ის დიდ საფრთხეს წარმოადგენს მოწინააღმდეგისთვის. ამიტომ ჩვენთვის ასეთი მნიშვნელოვანია მისი მიღება. ლეოპარდი ევროპაში გავრცელებული ტანკია. მასთან დაკავშირებული სერვისების და ტექნიკური ბაზა ვრცელდება ევროპის მთელ კონტინენტზე.

***– თქვენი აზრით, რა მასშტაბის შეტევითი ოპერაციის ორგანიზება შეუძლია კიევს? როგორც მივხვდი, თქვენ ვარაუდობთ, რომ ჯერ იქნება რუსეთის იერში, რასაც შემდეგ მოჰყვება უკრაინის შეიარაღებული ძალების კონტრშეტევა?***

– დიახ, მგონია, რომ მოვლენები ამ თანმიმდევრობით განვითარდება. ვითარების შეცვლა შეუძლია მხოლოდ გამანადგურებელი დარტყმის მიყენება რუსეთის არმიაზე. დღეს რუსები დღეღამეში თითო ბატალიონს კარგავენ. ეს დიდი დანაკარგია. ჩემი აზრით, ყველაფერი დაახლოებით მარტში გადაწყდება. მაშინ გვეცოდინება, რა ძალების ჩამოყალიბება მოახერხა რუსეთმა და რამდენად წარმატებულად მიდის იქ მობილიზაციის მეორე ტალღა. ახალი ტალღის მობილიზებულები, პრაქტიკულად, ვერ მიიღებენ მონაწილეობას შეტევით ოპერაციაში. თუ რუსები დაკავდებიან დამრტყმელი ჯგუფის ფორმირებით, უკრაინას კი რეზერვი ექნება, ჩვენ მტერს ბრძოლის ველზე არ დაველოდებით და შევეცდებით შეტევას ოპერატიული მიმართულებებიდან ერთზე მაინც.

***– როგორი შეიძლება იყოს რუსეთის შეტევა? ლოგიკის მიხედვით, მათთვის ყველაზე ხელსაყრელი იქნებოდა კიევზე წასვლა და შეტევა დონბასზე. არსებობს თუ არა ხარკოვის ოლქზე იერიშის მიტანის რისკები?***

– ასეთი სცენარი შესაძლებელია – წარმატებული ოპერაციისთვის მათ შეუძლიათ შექმნან დარტყმის მეორე მიმართულება. მეორე დარტყმა შეიძლება განხორციელდეს ფრონტის ერთ-ერთ მონაკვეთზე. მაგალითად, ხარკოვის სამხრეთით, რათა მთლიანად დაიპყრონ ლუგანსკის ოლქი და გავიდნენ მის ადმინისტრაციულ საზღვართან. ისინი ეცდებიან იერიშს კუპიანსკის მიმართულებით. ახლა იანვრის ბოლო დეკადაა და ბელგოროდის ოლქში დაჯგუფების ფორმირების ნიშნები არ ჩანს. ჯერჯერობით რუსეთს თავისი ძალები დონბასისკენ გადაჰყავს. რუსეთი ჩაეფლო საბრძოლო მოქმედებების წარმოების მეთოდებში, რომლებიც მემკვიდრეობად მიიღო მეორე მსოფლიო ომისგან.

***– რამშტაინი-8 ერთ-ერთი საკვანძო გამოდგა უკრაინის ომში რუსეთის წინააღმდეგ გადამწყვეტი თვეების წინ?***

– სწორად აღნიშნა პენტაგონის მეთაურმა ლოიდ ოსტინმა: გაზაფხულამდე არის დრო და ახლა უნდა გადაწყდეს უკრაინის შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის დონის გაზრდის ამოცანა. უნდა დამთავრდეს შეტევითი ოპერაციის ეიფორია და ყურადღება უნდა გამახვილდეს კარგ, მძლავრ თავდაცვით ოპერაციაზე, რომელიც გამოიწვევს მაქსიმალურ დანაკარგს რუსეთის ჯარებში.

# თბილისის პროკურატურამ ნიკა გვარამია უკანონო მოსმენების საქმის გამოძიების ფარგლებში დაზარალებულად ცნო

თბილისის პროკურატურამ ნიკა გვარამია უკანონო მოსმენების საქმის გამოძიების ფარგლებში დაზარალებულად ცნო. აღნიშნულ ინფორმაციას არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ ავრცელებს.

არასამთავრობო ორგანიზაციამ საგამოძიებო ორგანოს „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის გამოკითხვის მოთხოვნით 2022 წლის 18 ნოემბერს მიმართა, ხოლო პროკურატურისგან ნიკა გვარამიასთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება 2023 წლის 10 იანვარს მოითხოვა.

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ განცხადებით, აღნიშნულ საქმეზე პროკურატურის მიერ 2021 წლის 14 სექტემბერს დაწყებული გამოძიება დღემდე გრძელდება.

– 2021 წლის 13 სექტემბერს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სასულიერო პირების, ჟურნალისტების, ადვოკატების, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისა და სხვა პირების მიმართ მიმდინარეობდა უკანონო თვალთვალი, მათი სატელეფონო და პირადი საუბრების უკანონო მიყურადება, რასაც ჰქონდა სისტემური ხასიათი. გავრცელებული მასალა შეიცავს ათასობით დოკუმენტს. გავრცელებულ ფაილებში, მათ შორის, მოცემულია ინფორმაცია ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის, ნიკა გვარამიას საუბრის შესახებ.



აღნიშნულ საქმეზე პროკურატურის მიერ 2021 წლის 14 სექტემბერს დაწყებული გამოძიება დღემდე გრძელდება. საქმეზე გამოძიება კერძო საუბრის უნებართვო ჩაწერის ან მიყურადების და კერძო კომუნიკაციის ჩანაწერის, ტექნიკური საშუალებით მოპოვებული ინფორმაციის ან კომპიუტერული მონაცემის უკანონოდ გამოყენების და გავრცელებას ფაქტზე მიმდინარეობს.

დაზარალებულად ცნობის შესახებ პროკურატურის გადაწყვეტილებამდე საგამოძიებო ორგანოს ნიკა გვარამიას გამოკითხვის მოთხოვნით 2022 წლის 18 ნოემბერს მივმართეთ. 2023 წლის 10 იანვარს პროკურატურისგან გვარამიასთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება მოვითხოვეთ. მას შემდეგ კი, რაც ჩვენს ბოლო მოთხოვნაზე პასუხი კანონით დადგენილ ვადაში არ მივიღეთ, ნიკა გვარამიას დაზარალებულად ცნობის შესახებ საჩივარი საქართველოს გენერალურ პროკურორთან წარვადგინეთ.

ნიკა გვარამიას ინტერესებს უკანონო მოსმენების საქმის გამოძიების ფარგლებში საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა იცავს, – აღნიშნულია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ განცხადებაში.

# სააპელაციო სასამართლომ მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმეზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა



სააპელაციო სასამართლომ მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი ჯგუფურ თაღლითობაში დამნაშავედ ცნო, რითაც საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული ჰქონდა როგორც დაცვის, ასევე ბრალდების მხარეს.

ადვოკატები გამამართლებელ განაჩენს, პროკურატურა კი კვალიფიკაციის შეცვლას და სამივე პირის ე.წ. ფულის გათეთრებაში დამნაშავედ ცნობას ითხოვდა.

შეგახსენებთ, რომ ე.წ. ფულის გათეთრების საქმეზე ბრალდებულები – მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო. თუმცა, მოსამართლემ სამივე მათგანს მუხლის კვალიფიკაცია შეუცვალა და ისინი ჯგუფურ თაღლითობაში ცნო დამნაშავედ და თითოეულ მათგანს თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 7 წლის ვადით, მაგრამ მუხლის ხანდაზმულობის გამო, ისინი დანიშნული სასჯელისგან გათავისუფლდნენ.

მამუკა ხაზარაძეს და ბადრი ჯაფარიძეს ბრალი წარედგინათ 2019 წლის 24 ივლისს ჯგუფურად 16.664.000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით).

რაც შეხება ავთანდილ წერეთელს, პროკურატურა ბიზნესმენს ბადრი ჯაფარიძისა და მამუკა ხაზარაძისთვის უკანონო შემოსავლების ლეგალიზებაში დახმარებას ედავებოდა.

# მამუკა ხაზარაძე: „სამართლებრივი აბსურდი გრძელდება“

„ლელოს“ ლიდერის მამუკა ხაზარაძის განცხადებით, ის, რაც პირველმა ინსტანციამ და დღეს უკვე სააპელაციო სასამართლომ მათ საქმესთან დაკავშირებით დაადასტურა, ეს არის სამართლებრივი აბსურდი.

– ეს სამართლებრივი აბსურდი გრძელდება, ეს არის უპრეცედენტო რამ. ის, რაც პირველმა ინსტანციამ და დღეს უკვე სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა, ეს არის სამართლებრივი აბსურდი. გვედავებიან იმ საქმეზე, რომელზეც პროკურატურას წერილობით აქვს, ჯერ კიდევ 4 წლის წინ, დადასტურებული, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მათ პრეტენზია არ გააჩნიათ. ამ საკითხზე რომც ჰქონოდათ რაიმე პრეტენზია, წერილობით აქვთ დადასტურებული, რომ ამაზე არ გვედავებიან და არ გვედავებოდნენ, არც გვიკამათია ამ საკითხზე. რაზეც ბრალს გვდებენ, აბსოლუტურად ნონსენსია.

ჰკითხეთ ნებისმიერ იურისტის, ან პირველი კურსის სტუდენტს – ბრალდება წაგვიყენა მოსამართლემ და არა პროკურატურამ, მსგავსი რამ არსად წერია, რომ ბრალი წაგიყენოს მოსამართლემ, რომელზეც პროკურატურა არ გედავება. ეს დღეს ბიძინა ივანიშვილის ყურმოჭრილმა მონებმა გაიმეორეს თუთიყუშივით. მათ სიტყვა ვერც კი თქვეს, ვერც პირველმა და ვერც მეორე ინსტანციამ, რომ ფულის გათეთრება არ ყოფილა და ჩვენ ვართ მართლები. ის, რომ მე ახლა თქვენ წინაშე ვდგავარ და ის, რომ 4 წელია ეს სასამართლო მიმდინარეობს, ჩვენ კი არ ვართ საპყრობილეში, ნიშნავს, რომ აბსურდული საქმე – ფულის გათეთრება არ არსებობს. ამ თემასთან და ამ საქმესთან დაკავშირებით სხვა ბრალდება ჩვენ წინაშე არ ყოფილა. ერთადერთი, რაზეც გვედავებოდნენ, იყო ფულის გათეთრება, რომელიც არ ყოფილა. ეს არც პირველ და და არც მეორე ინსტანციაში არ დადასტურდა. რაც ახლა გამოიგონეს და საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა დაადასტურეს, ეს არის სამართლებრივი ნონსენსი, ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა, – განაცხადა ხაზარაძემ.

მისივე თქმით, ისინი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებენ.

– ჩვენ დღესვე მივმართავთ ჩვენს ადვოკატებს და გადაწყვეტილებას გავასაჩივრებთ უზენაეს სასამართლოში. ეს არის გრძელი გზა. უზენაესში დაგვხვდება ის ადამიანი, ის მოსამართლე, რომელიც იყო ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი, შალვა თადუმაძე, რომელიც იყო გენპროკურორი და დაიწყო საქმე ჩვენ წინაალმდეგ. ახლა მივდივართ, მოსამართლე თადუმაძესთან. ეს არის აბსურდის თეატრი, აბსურდის ქვეყანა. თითოეულ მოქალაქეს ვპირდებით, რომ ბრძოლა არ გაჩერდება ერთი



წამით. მე და ბადრი ჯაფარიძემ ამ ბრძოლაში შემოსვლა გადავწყვიტეთ და ეს გაგრძელდება. არ შეშინდეთ მეგობრებო, ეს ბრძოლა არის სამართლიანობისთვის ბრძოლა! – განაცხადა ხაზარაძემ.

# თელავში გატეხილია ერთი კორპუსის რამდენიმე ბინა

თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 26-ე კორპუსში, ამ დრომდე დაუდგენელმა პირებმა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი გატეხეს და ოქრო და საყოფაცხოვრებო ნივთები წაიღეს.

მათივე ინფორმაციით, დანაშაული, სავარაუდოდ, 2 ახალგაზრდის ჩადენილია, თუმცა ისინი პოლიციას არ დაუკავებია. 26-ე კორპუსის მცხოვრებლების თქმით, მანამდე ახალგაზრდებმა რამდენიმე სახლი სხვა ქუჩაზეც გაქურდეს.

# გორში „სოკარ ჯორჯია გაზის“ სერვისცენტრი გაქურდეს



გორში, წმინდა წყლის დასახლებაში კომპანია „სოკარ ჯორჯია გაზის“ სერვისცენტრი გაქურდეს.

წინასწარი ინფორმაციით, მოპარულია გათბობის სისტემა, რომელიც დასამონტაჟებლად იყო გამზადებული.

შემთხვევა, სავარაუდოდ, გვიან ღამით მოხდა. სულ წაღებულია 3 ე.წ. საქვაბე.

ტერიტორია ყვითელი ლენტით არის შემოსაზღვრული, საქმეზე პოლიცია საგამოძიებო მოქმედებებს ამ წუთებში აწარმოებს.

# იტალიაში ქართველი ემიგრანტი გაზით გაიგუდა

იტალიაში ქართველი ემიგრანტის გარდაცვალების მიზეზად ბუნებრივი აირის გაჟონვა სახელდება.

შემთხვევა მილანში, ბერგამოში გუშინ მოხდა. 33 წლის ონისე ქობალია კიდევ 3 პირთან ერთად იმყოფებოდა. როგორც ახლობლები ამბობენ, ერთ-ერთ სახლში რემონტს აკეთებდნენ.

# შალვა ხაჭაპურიძის ნარკოტესტის პასუხი ცნობილია



მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა, შალვა ხაჭაპურიძემ, ნარკოტესტი ჩაიტარა – „პირველების“ მიერ მოპოვებული ოფიციალური დოკუმენტების თანახმად, პასუხი უარყოფითია.

მესამე პრეზიდენტის უფლებადამცველმა ტესტირება კლინიკა „ვივა მედის“ დირექტორის, ნინო ნადირაძის ბრალდების საპასუხოდ ჩაიტარა.

# რა ფარული ვიდეო დევს ძმებ კაკულიების საქმეში



„კურიერის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, არაყიშვილის ქუჩაზე დაჭრილი სერგი ქურთიაშვილი კაკულიების გარემოცვასთან ესპანეთში კონსპირაციულ შეხვედრაზე იმყოფებოდა.

ძმებ კაკულიებს არაყიშვილის ქუჩაზე სერგი ქურთიაშვილის ჯგუფურად მკვლელობის მცდელობას ედავებიან, რა დროსაც დაშავდა გიორგი კაჭკაჭაშვილიც. ძმებს ასევე, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას, ტარებას, ასევე, საზღვრის უკანონო კვეთასაც ედავებიან. აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიება ასევე ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება ძმებ კაკულიების მიერ სხვა დანაშაულებრივ ფაქტებთან, მათ შორის, ნიკა კვარაცხელიას მკვლელობის საქმესთან შესაძლო შემხებლობასთან დაკავშირებით.

საგამოძიებო უწყების ცნობით, ბრალდებულებმა დანაშაული სომხეთშიც ჩაიდინეს, სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები სომხეთის შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებთან აქტიურად თანამშრომლობენ.

ცნობისთვის, ძმები კაკულიები ე.წ. კანონიერი ქურდის დათო თბილისკის შვილები არიან.

# მამაკაცი ჯერ მოკლეს, შემდეგ გვამი დაანაწევრეს

„პოლიციის ფაილებში“ ნახავთ, როგორ გახსნა შინაგან საქმეთა სამინისტრომ უმძიმესი მკვლელობის საქმე.

საუბარია პროკურორის მკვლელობის საქმეზე, რომელიც 2016 წელს მოხდა. მამაკაცი ჯერ მოკლეს, შემდეგ კი მისი დანაწევრება გადაწყვიტეს.

მკვლელის დასაკავებლად სპეცოპერაციის დროს ბრალდებულმა სამართალდამცველების მისამართით ცეცხლი გახსნა...

# რაში სჭირდება პუტინს მედვედჩუკი?!



პრორუსული ორიენტაციის უკრაინელი პოლიტიკოსი მედვედჩუკი მედიასივრცეში კვლავ გამოჩნდა. გაზეთ „იზვესტიაში“ მან გამოაქვეყნა სტატია, სადაც ნათქვამია, რომ უკრაინაში მშვიდობა უნდა დამყარდეს და ამისათვის ყველა მხარის ინტერესები უნდა იყოს გათვალისწინებული.

მოგვიანებით პრესკონფერენციაზე პატარა სკანდალიც მოხდა. უკრაინელმა ჟურნალისტმა მედვედჩუკს ჰკითხა, კონკრეტულად რომელი მხარის ინტერესები უნდა გავითვალისწინოთო. მედვედჩუკმა მიუგო:

– რუსეთის, აშშ-ის, ევროკავშირის და, რა თქმა უნდა, უკრაინის. ოღონდ მხედველობაში მაქვს აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონების უკრაინა.

– სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენ აპირებთ აგრესორი რუსეთის ინტერესების გათვალისწინებას?!

აჭარხლებული მედვედჩუკი წამოხტა და დარბაზიდან გავარდა. პრესკონფერენციაც ჩაიშალა.

უკრაინის უშიშროების სამსახურის (სბუ) ანალიზის მიხედვით, მოსკოვში ამუშავებენ ე.წ. მეორე უკრაინული სახელმწიფოს შექმნის პროექტს დედაქალაქით დონეცკი. ამ მიზნით ნავარაუდევია მთელი დონბასის და ხერონ-ზაპოროჟიეს ოლქების ოკუპაცია. ამის შემდეგ პუტინი ე.წ. საზავო ინიციატივით გამოვა. ის შესთავაზებს მსოფლიოს, რომ შეეგუოს მეორე უკრაინული სახელმწიფოს არსებობას. ამ ე.წ. „სახელმწიფოს“ სათავეში კი, სავარაუდოდ, მედვედჩუკი მოექცევა. განიხილება ექსპრეზიდენტ იანუკოვიჩის ან ექსპრემიერ აზაროვის კანდიდატურებიც.

ექსპერტი ვიტალი პორტნიკოვი ამას არ ეთანხმება. ის ხაზს უსვამს ერთ ფრიად საინტერესო მომენტს: მედვედჩუკის, აზაროვის თუ იანუკოვიჩის რეიტინგი დღევანდელ უკრაინაში 2-3%-ს შუა მერყეობს. შესაბამისად, თვით დონბასსა და უკრაინის სამხრეთში მათ არავითარი გავლენა არა აქვთ. ე.წ. მეორე უკრაინული სახელმწიფოც მკვდრადშობილი ორგანიზმია.

ამას კრემლის ამჟამინდელი ხელმძღვანელებიც ხვდებიან. ისინი კორუმპირებული და უზნეო ხალხია, მაგრამ სულელები ნამდვილად არ არიან და კარგად ხედავენ, რომ ე.წ. პრორუსული უკრაინის მატარებელმა კარგა ხანია ჩაიარა. შესაბამისად, მედვედჩუკი, აზაროვი თუ იანუკოვიჩი უკვე წარსულის ფიგურებს წარმოადგენენ. მათ არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ რაიმე მომავალი.

რუსეთმაც კურსი დონბასის, ხერსონის, ზაპოროჟიეს ანექსიისაკენ აიღო. ეს წამგებიანი სვლაა, რადგანაც ხსენებულ რეგიონებში უკრაინელები უმრავლესობას შეადგენენ და ამიტომ როგორც დონბასში, ისე ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქების ოკუპირებულ ნაწილებში და სხვაგან ძლიერი პარტიზანული მოძრაობაა, რომელიც სულ უფრო ძლიერდება. ყოველივე ეს საფუძველს აძლევს აშშ-ის პრეზიდენტ ბაიდენს, რომ დაასკვნას: რუსეთი უკრაინასთან ომს ვერ მოიგებს.

რაც შეეხება მედვედჩუკს, პუტინი მას აუცილებლად გამოიყენებს. უწინარეს ყოვლისა, ეს რუსი ობივატელისთვის განკუთვნილი პროპაგანდისტული შოუ იქნება. პუტინი შეეცდება აჩვენოს, რომ არსებობს მეორე უკრაინაც, რომელსაც რუსეთი სურს. მედვედჩუკი კრემლის ინტრიგების პერსონაჟი გახდება. მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ დამთავრდება ეს მისთვის.

# ქურდმა ეკლესიიდან ქანდაკების მოპარვა სცადა და მთავარანგელოზის მახვილისგან დაზიანება მიიღო



მექსიკის ქალაქ მონტერეიში ქურდი შეეცადა, კათოლიკური ეკლესიიდან მთავარანგელოზ მიქაელის ქანდაკება მოეპარა, მაგრამ მის მახვილზე წამოეგო და თავი საავადმყოფოში ამოყო.

დილით ადრე 32 წლის კარლოს ალონსომ ქალაქის ცენტრში არსებული კათოლიკური ეკლესიის გაქურდვა გადაწყვიტა. სიბნელეში მამაკაცი ღობეზე გადახტა, მინის კარი შეამტვრია და ეკლესიაში შევიდა.

მან ანგელოზ მიქაელის ქანდაკება აიღო და მასთან ერთად მიმალვა ცადა. ეკლესიიდან გამოსვლის დროს ბოროტმოქმედი წაბორძიკდა და ქანდაკების ხმალზე წამოეგო. მან კისრის სერიოზული დაზიანება მიიღო. ის გამვლელებმა შენიშნეს და სასწრაფო დახმარება გამოიძახეს.

შემთხვევის ადგილზე ასევე სამოქალაქო თავდაცვის სამსახურის თანამშრომლებიც მივიდნენ. მათ მთავარი კარის საკეტი გაჭრეს და დაშავებული გადაარჩინეს. მას შემდეგ, რაც ალონსოს მდგომარეობა დასტაბილურდა, მაშველებმა ის საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც სათანადო სამედიცინო დახმარება გაეწია.

მას შემდეგ, როცა ალონსოს მკურნალობის კურსი დასრულდება, მას პროკურორის ოფისში გადაიყვანენ და იქ განუსაზღვრავენ, თუ რა სასჯელს იმსახურებს ეკლესიისთვის მიყენებული ზარალის გამო. ამ ინციდენტის შედეგად მთავარანგელოზის ქანდაკება არ დაზიანებულა.

# რუსეთი იმუქრება

ვენაში ეუთოს ფორუმი გაიმართა. რუსეთის წარმომადგენელმა გავრილოვმა უკრაინისათვის ტანკების გადაცემა ატომური ბომბის გადაცემას შეადარა.

– დასავლეთის ქვეყნებს ვაფრთხილებ: თუ უკრაინის შეიარაღება გაგრძელდება, ნატოს ქვეყნებზე დარტყმას განვახორციელებთ, – თქვა გავრილოვმა.

სუკის ექსპრეზიდენტმა ვაშინგტონში იური შვეცმა გავრილოვის გამოსვლას პუტინის მორიგი ბლეფი უწოდა. შვეცი აცხადებს, რომ ჯერ კიდევ სსრკ-ს დროს სუკი ავრცელებდა დეზინფორმაციას, რომ თუ არაფერს არ დაგვითმობთ, ბირთვულ იარაღს გამოვიყენებთო. ამის შემდეგ რუსების აგენტები დასავლეთში, ან უბრალოდ სასარგებლო იდიოტები (ეს ლენინური ტერმინია) აცხადებდნენ:

– ბირთვული ომის საფრთხე რეალურია! ამიტომ რუსებს უნდა დავუთმოთ!

დღეს რუსეთი უკრაინაში ჩიხში შევიდა. პუტინმაც საბჭოთა სუკის მსგავსად, ძველი ბლეფი გაიხსენა.

# ბაიდენმა უკრაინას ტანკები მიაწოდა

აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი უკრაინისათვის აბრამსის ტიპის ტანკების მიწოდებას დათანხმდა. ამის თაობაზე იუწყება რადიო „თავისუფლება“.

აშშ-ის პრეზიდენტმა უკრაინისთვის აღმოჩენილი დახმარების გამო მადლობა გადაუხადა გერმანიის, იტალიის, ინგლისის, დანიის და საფრანგეთის მთავრობებს. გერმანია კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ უკრაინელებისათვის ლეოპარდი 2-ის ტიპის ტანკების მიწოდებას დათანხმდა.

# ზელენსკიმ ამერიკელებს მადლობა გადაუხადა



უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ამერიკელებს ტანკების მიწოდებისათვის მადლობა გადაუხადა. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ ახლა მნიშვნელოვანია ორი საკითხი: რა რაოდენობის ტანკები მიეწოდება უკრაინას და რა ვადებში მიაწვდიან უკრაინელებს მძიმე ტექნიკას.

# როდის ჩავლენ გერმანული ტანკები უკრაინაში?



გერმანის თავდაცვის მინისტრმა პისტორიუსმა ისტორიული უწოდა გადაწყვეტილებას უკრაინისათვის გერმანული ტანკების ლეოპარდ 2-ის მიწოდების თაობაზე. მან თქვა, რომ ტანკებს უკრაინაში 2-3 თვეში ჩაიყვანენ.

# 12 წლის ბიჭმა სამმეტრიანი ზვიგენი დაიჭირა



ამერიკის ფლორიდის შტატში 12 წლის კემპბელ კენანმა თევზაობის დროს ანკესით შემთხვევით დიდი თეთრი ზვიგენი დაიჭირა.

მოზარდი შტატში თავისი დის მხარდასაჭერად ჩავიდა, რომელიც ჰოკეის ტურნირზე გამოდიოდა. მოგვიანებით მისმა ოჯახმა სათევზაოდ წასვლა გადაწყვიტა. კემპბელი სათევზაო გემზე პირველად არ იმყოფებოდა. მისივე თქმით, ის რეგულარულად დადის სათევზაოდ და ეს საქმიანობა ძალიან უყვარს.

თევზი, რომლის წყლიდან ამოყვანას ბიჭი ცდილობდა, ისეთ დიდ წინააღმდეგობას უწევდა, რომ აშკარად ანკესზე საკმაოდ დიდი ნადავლი იყო წამოგებული. იმისთვის, რომ ნადავლი გემთთნ მიეტანა, ბიჭს გემის კაპიტნის დახმარება დასჭირდა.

– კემპბელს ქურთუკი გავხადეთ და შევნიშნეთ, რომ ერთიანად გაოფლილი იყო, – იხსენებს ბიჭის დედა კოლინი.

ბოლოს, როგორც იქნა, თევზი წყლის ზედაპირზე გამოჩნდა და ბიჭმა დაინახა, რომ მის ანკესზე სამმეტრიანი დიდი თეთრი ზვიგენი იყო წამოგებული. მასთან გასამკლავებლად 45–წუთიანი ბრძოლა დასჭირდათ.

ზვიგენის დაჭერა კანონით აკრძალულია, ამიტომ ის გაზომეს, დანიშნეს, რათა ექსპერტებმა მისი მიგრაციისთვის თვალყურის დევნება შეძლონ და შემდეგ გაუშვეს. მტაცებელ თევზს კემპბელის დის მწვრთნელის პატივსაცემად იან-იანი დაარქვეს, რომელიც ასევე გემზე იმყოფებოდა და თევზაობას თვალს ადევნებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# დირიჟორი შავლეგ შილაკაძე გარდაიცვალა

დასაწყისი მე-8 გვერდზე

კომპოზიტორმა შექმნა სიმფონიური, კამერული და საგუნდო ნაწარმოებები. ატარებდა კონცერტებს საქართველოში და საზღვარგარეთ – გერმანიაში, შვეიცარიასა და დიდ ბრიტანეთში.

შავლეგ შილაკაძე ქართველ კომპოზიტორთა ახალი ნაწარმოებების პირველი შემსრულებელი გახლდათ. ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მაესტრო დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, საქართველოს ეროვნული პრემიით და ჯილდოთი წლის საუკეთესო ნაწარმოებისათვის.

**გელა ფარჩუკიძე, თბილისის ბავშვთა კაპელას ხელმძღვანელი:**

– ხანდახან სიტყვები უძლურია ხოლმე, გადმოსცე შენი სათქმელი. მეტადრე ფიქრი და, მით უმეტეს, წუხილი. ახლაც ეს განცდა მაქვს, არც კი ვიცი, რა შეიძლება თქვა ამ დახვეწილ, რაფინირებულ, თხემით-ფერხამდე უინტელიგენტეს ადამიანზე, კაცზე, რომელსაც სიარულის დროს თან „დასდევდა“ მზე, თითქოს ანათებდა. ღირსებით სავსე უდიდესი პიროვნება და მუსიკოსი – შავლეგ შილაკაძე.

მშვიდობით მაესტრო. ქედს ვიხრი თქვენ წინაშე. თქვენ დიდი და მართალი კაცის ცხოვრებით იცხოვრეთ. მადლობა, რომ იყავით და რომ დატოვეთ ამხელა „მზე“ სახელი – რომელიც ყოველთვის გაანათებს, როცა ვინმე მას წარმოთქვამს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# ომის მთავარი ეპიცენტრი კვლავ დონბასია



უკრაინაში ბრძოლები გრძელდება. ომის მთავარი ეპიცენტრი კვლავ დონბასია.

დონბასელ სეპარატისტთა საიტმა „რუსსკაია ვესნამ“ დონბასის შესახებ შემდეგი ინფორმაცია გაავრცელა:

ახლა ბრძოლები სოლედარის გარშემო განთავსებული სიმაღლეებისათვის მიმდინარეობს. უკრაინელები მტერს არ ეპუებიან და წინააღმდეგობას განაგრძობენ.

სასტიკი ბრძოლებია ბახმუტთანაც. რუსები კვლავ ჯიუტად ცდილობენ, ქალაქს ფლანგებიდან შემოუარონ და ალყაში მოაქციონ. აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის აზრით, უკრაინელები სწორად იქცევიან, როცა თავიანთ პოზიციებს არ ტოვებენ. ბრძოლები ბახმუტთან გრძელდება. ასევე გრძელდება ბრძოლები ავდეევკასთან, მარინკასა და უგლედართან.

უცვლელი ვითარებაა ლუგანსჩინაზე, კერძოდ, სვატოვო-კრემენოეს მიდამოებში. აქ ინიციატივას უკრაინელები ფლობენ და წინ მიიწევენ.

სასტიკი ბრძოლებია უკრაინის სამხრეთშიც. რუსმა ოკუპანტებმა კვლავ დაბომბეს ხერსონის და ზაპოროჟიეს ოლქები. უკრაინელებმა მტერს საკადრისი პასუხი გასცეს.

უკრაინის სამხრეთ რეგიონში ვითარება არ შეცვლილა. გრძელდება საარტილერიო დუელები. რუსები შეტევაზე აღარ გადადიან და ძალების მოკრეფას ცდილობენ.

აფეთქებების ხმა გაისმის ნიკოლაევში, ვინიცაში, ხერსონში, კიევში, კიევის ოლქში და ა.შ.

უკრაინის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა მთელი დატვირთვით მუშაობს. მტრის რაკეტების დიდი ნაწილი ჩამოგდებულია.

# დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

უკრაინაში ომის მასშტაბები იზრდება. ამან რუს ოკუპანტთა რიგებში დანაკარგები კიდევ უფრო გაზარდა. დღეისთვის სურათი შემდეგია: ტანკები – 3.161, არტილერია – 2.154, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები – 220, თვითმფრინავები – 290, ვერტმფრენები – 281, ფრთოსანი რაკეტები – 749. განადგურებულია – 123.300 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## სპორტი

## შედეგები

25 იანვარი

ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩი**

აშშ-სერბეთი ................................ 1:2

**ინგლისი. ლიგის თასი**

ნოტინგემი-მანჩესტერი ................ 0:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

მაინცი-დორტმუნდი ...................... 1:2

აუგსბურგი-გლადბახი .................... 1:0

ლევერკუზენი-ბოხუმი .................... 2:0

ვერდერი-უნიონი .......................... 1:2

ფრაიბურგი-აინტრახტი ................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 17 | 10 | 6 | 1 | 51-15 | 36 |
| 2.უნიონი | 17 | 10 | 3 | 4 | 29-22 | 33 |
| 3.ლაიფციგი | 17 | 9 | 5 | 3 | 37-23 | 32 |
| 4.აინტრახტი | 17 | 9 | 4 | 4 | 36-25 | 31 |
| 5.დორტმუნდი | 17 | 10 | 1 | 6 | 31-25 | 31 |
| 6.ფრაიბურგი | 17 | 9 | 4 | 4 | 26-24 | 31 |
| 7.ვოლფსბურგი | 17 | 8 | 5 | 4 | 35-20 | 29 |
| 8.ლევერკუზენი | 17 | 7 | 3 | 7 | 30-28 | 24 |
| 9.გლადბახი | 17 | 6 | 4 | 7 | 30-28 | 22 |
| 10.კიოლნი | 17 | 5 | 6 | 6 | 29-31 | 21 |
| 11.ვერდერი | 17 | 6 | 3 | 8 | 27-36 | 21 |
| 12.მაინცი | 17 | 5 | 5 | 7 | 21-27 | 20 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 17 | 5 | 4 | 8 | 25-27 | 19 |
| 14.აუგსბურგი | 17 | 5 | 3 | 9 | 22-30 | 18 |
| 15.შტუტგარტი | 17 | 3 | 7 | 7 | 21-30 | 16 |
| 16.ბოხუმი | 17 | 5 | 1 | 11 | 17-39 | 16 |
| 17.ჰერტა | 17 | 3 | 5 | 9 | 20-30 | 14 |
| 18.შალკე | 17 | 2 | 3 | 12 | 14-41 | 9 |

**ესპანეთი. სამეფო თასი**

ბარსელონა-სოსიედადი ................ 1:0

ოსასუნა-სევილია ...................... 2:1(დდ)

**ნიდერლანდები. ერედივიზიონი**

ვიტესი-ტვენტე ............................ 2:2

იგლზი-ალკმაარი ........................ 1:4

სიტარდი-ჰერენვენი .................... 2:0

უტრეხტი-ექსელსიორი ................ 1:0

ფეინოორდი-ნაიმეგენი ................ 2:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# უეფამ ახალი ფორმატი დაამტკიცა და რუსებს სუპერთასის ჩატარება ჩამოართვა

შვეიცარიის ქალაქ ნიონში მდებარე უეფას შტაბბინაში აღმასკომის სხდომა გაიმართა, რომელმაც საკვალიფიკაციო სისტემაში და ერთა თასზე გარკვეული ცვლილებები დაამტკიცა, რომელიც ძალაში 2024 წლის სექტემბრიდან შევა.

**აი, რა წერია ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანოს ვებგვერდზე:**

– ეროვნულ ასოციაციებთან ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა, რომ უეფას ერთა ლიგისა და ევროპის საკვალიფიკაციო ეტაპის მიმდინარე ფორმატები უნდა შეიცვალოს. ამით უეფა უფრო საინტერესო შეჯიბრებას უზრუნველყოფს, ამასთან, ისე, რომ მატჩების რაოდენობა არ გაიზრდება. ამით უეფა, პანდემიის შემდეგ, ეროვნული ასოციაციების გაძლიერებას ხელს შეუწყობს.

**რა ცვლილებები განახორციელა უეფამ ერთა თასზე:**

ერთა ლიგის ფლეი ოფის ახალი ეტაპი ამიერიდან მარტში გაიმართება. აქამდე ჯგუფური ეტაპი ნოემბერში ტარდებოდა, ფინალური – ივნისში. ჯგუფური ეტაპი ისევ ნოემბერში მორჩება, მარტში – ერთა ლიგის ფლეი ოფის მეოთხედფინალები გაიმართება, ხოლო ივნისში – ოთხთა ფინალი;

ერთა ლიგის ა დივიზიონში ჯგუფების გამარჯვებულები და მეორეადგილოსნები მეოთხედფინალში ითამაშებენ ორმატჩიან დუელში გადაწყვეტენ ოთხთა ფინალში გამსვლელების ვინაობას;

ა დივიზიონის მესამეადგილოსნები ბ დივიზიონის მეორეადგილოსნებთან გაარკვევენ, თუ ვინ ითამაშებს ელიტაში. ასევე, ბ დივიზიონის მესამეადგილოსნები ამ ლიგაში თამაშის უფლებისთვის ც დივიზიონის მეორეადგილოსნებს დაუპირისპირდებიან. ეს ფლეი ოფიც ორმატჩიანი იქნება;

მარტის სანაკრებო ფანჯარაში, ერთა ლიგის თამაშების გამო, საკვალიფიკაციო მატჩებისთვის კალენდარი შეიცვლება მხოლოდ იმ გუნდებისთვის, რომლებსაც ერთა ლიგაში ახალ ეტაპზე თამაში უწევთ;

**ცვლილებები საკვალიფიკაციო ეტაპებზე:**

ახალი ფორმატი ეხება როგორც ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირს, ასევე მსოფლიოს ჩემპიონატის ევროპულ საკვალიფიკაციო ეტაპს;

გუნდები ამიერიდან 12 ჯგუფში გადანაწილდებიან, ზოგში 4 გუნდი იქნება, ზოგში – 5;

4-გუნდიან ჯგუფებში ასპარეზობა სექტემბერში დაიწყება, ხოლო 5-გუნდიან ჯგუფებში – ან მარტში, ანაც ივნისში (თუ ისინი ერთა ლიგის ფლეი ოფში არიან ჩართულები);

ჯგუფების გამარჯვებულები პირდაპირ გადიან ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატებზე. მეორეადგილოსნები ან პირდაპირ გადიან ან ფლეი ოფში თამაშობენ (ტურნირს გააჩნია);

ახალი ფორმატი ძალაში ევრო 2024-ის შემდეგ შევა, ხოლო ევროპის ჩემპიონატის ფორმატი არ იცვლება, გუნდების რაოდენობა მომავალშიც 24 იქნება.

უეფა რუსეთს ისევ არ სწყალობს და ამჯერად სუპერთასის მასპინძლობა ჩამოართვა. 2023 წლის სუპერთასის მასპინძელი ყაზანი ათენით შეიცვალა.

სუპერთასი, სადაც ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგისა და ევროპალიგის გამარჯვებულები დაუპირისპირდებიან, 16 აგვისტოს, საბერძნეთის დედაქალაქში, არენა „გეორგიოს კარაისკაკისზე" ჩატარდება.

უეფამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება, რომ 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატს 2025 წელს სლოვაკეთმა უმასპინძლოს, ხოლო მომდევნო აღმასკომის სხდომა 4 აპრილს გაიმართება. 5 აპრილს კი, ლისაბონში უეფას რიგით 47-ე კონგრესი იწყება.

# მოულოდნელი შედეგი — ეგაძემ ყვითელაშვილს აჯობა



ფინეთის ქალაქ ესპოში ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის 115-ე ჩემპიონატი დაიწყო. ევროპირველობაზე საქართველოს სახელით ნიკა ეგაძე, მორის ყვითელაშვილი (კაცები), ანასტასია გუბანოვა (ქალები) და მარია კაზაკოვა-გიორგი რევიას (მოცეკვავე წყვილი) გამოდიან.

პირველ დღეს საქმეში მამაკაცები ჩაერთნენ. ჩვენებურთაგან 20 წლის ეგაძემ 29 მონაწილეს შორის 72.96 ქულით მე-12 ადგილი დაიკავა. გასაკვირად, ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსანმა ყვითელაშვილმა, რომელიც მოკლე პროგრამის შემდეგ 70.55 ქულით მე-16 ადგილს დასჯერდა.

ორივე მათგანი ფინალში მოხვდა, სადაც 24 მონაწილე მედლებისთვის ბრძოლაში თავისუფალი პროგრამით იასპარეზებენ.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატზე ანასტასია მეტელკინა-დანიილ პარკმანის სპორტულ წყვილსაც უნდა ეასპარეზა, მაგრამ დუეტი დაიშალა, ხოლო კარინა საფინა – ლუკა ბერულავას დუეტი, კარინას ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ასპარეზობიდან მოიხსნა.

# ოლიმპიურ ფესტივალზე სუპატაშვილი ფინალში გავიდა



ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მეოთხე საშეჯიბრო დღეს საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა სამთო თხილამურობაში, სნოუბორდსა და ფიგურულ ციგურაობაში მიიღო.

ჯერჯერობით, ფესტივალზე ერთადერთი ყველაზე წარმატებული სპორტსმენი მოციგურავე კონსტანტინე სუპატაშვილია, რომელმაც მოკლე პროგრამით იასპარეზა, მსაჯებისგან 65.12 დაიმსახურა და ფინალში ასპარეზობის უფლება მეხუთე ადგილით მოიპოვა. ფინალში გასასვლელად 16 საუკეთესოს შორის მოხვედრა იყო საჭირო.

გიგანტურ სლალომში პირველი დაშვებისას დისკვალიფიკაციით გამოეთიშა ასპარეზობას ნინო ენუქიძე.

სნოუბორდში (სლოუპსტაილი) საკვალიფიკაციო გამოსვლა ჰქონდა ნიკოლოზ გაბულდანს, რომელმაც 22 ქულით და მე-20 ადგილით დაასრულა გამოსვლა.

სამთო მოთხილამურეები – ლევან ნაზღაიძე, ოთარ წულეისკირი და ლუკა ბურდული სლალომში გამოვიდნენ. ნაზღაიძემ და წულეისკირმა ორი დაშვების ჯამში, შესაბამისად, 68-ე და 69-ე ადგილები დაიკავეს, ლუკა ბურდულმა კი ასპარეზობა ვერ დაასრულა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 — 12-დან 17 საათამდე**

# ფაბიო კაპელო: „მთავარია ნაპოლიმ ყურადღება არ მოადუნოს"



იტალიურმა რომამ სერია ა-ს ბოლო ჩემპიონობა 2001 წელს მოიგო და ეს ფაბიო კაპელოს ხელში გააკეთა. იტალიელი სპეციალისტი თვლის, რომ ნაპოლის წლევანდელი სკუდეტო ისეთივე იქნება, როგორიც მისთვის რომაში იყო.

**ფაბიო კაპელო:**

– ნაპოლის სკუდეტო ისეთივე იქნება, როგორიც ჩემი რომაში მუშაობის დროს იყო. ახლა მთავარია ნაპოლიმ ყურადღება არ მოადუნოს, არ უნდა შეჩერდეს. თუმცა, გუნდს საამისო არაფერი ეტყობა. პრობლემები არ ჩანს. მოთამაშეებს თავიანთი ძალა გაცნობიერებული აქვთ. ამ ყველაფერში კი ლუჩანო სპალეტის უდიდესი წვლილია.

„აძური" მართლაც შთამბეჭდავად თამაშობს. პირველი წრის შემდეგ სერია ა-ს ცხრილს ლიდერობს და მეორე ადგილს უპრეცედენტო 12 ქულით უსწრებს. სავარაუდოდ, კონკურენტებს ასეთი სხვაობის გაბათილება უნდა გაუჭირდეთ.

მაგრამ, ნეაპოლელთა ამჟამინდელი მიზანი მარტო სკუდეტოს მოგება არ არის. ისინი ჩემპიონთა ლიგაშიც სერიოზულ ბრძოლას აპირებენ.

ჩემპიონთა ლიგა? ნაპოლი ყველა გუნდისთვის სახიფათოა. თუ მათ თავში არ აუვარდებათ, ყველაფრის მიღწევა შეუძლიათ.

რაც შეეხება ცალკეულ ფეხბურთელებს, აქ კაპელოს მიაჩნია, რომ პოტენციური ჩემპიონი, უპირველეს ყოვლისა, დაბალანსებული ძლიერი შემადგენლობით გამოირჩევა, მაგრამ...

– კვარა და ოსიმენი კარგად თამაშობენ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათ უკან სხვა ფეხბურთელები დგანან, რომლებიც დიდ სამუშაოს წევენ.

კაპელომ, როგორც მწვრთნელმა, მილანს სკუდეტო ოთხჯერ მოაგებინა, ერთხელ რომას და ორჯერ იუვენტუსს, მაგრამ ტურინელებთან მიღწეული ის ორი წარმატება კალჩოპოლის გახმაურებული სკანდალის გამო გაუქმებულია. გარდა ამისა, კაპელომ მადრიდის რეალს ლა ლიგის ჩემპიონის ტიტული ორჯერ მოაგებინა. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ის იტალიელს ერთხელ აქვს მოგებული – 1993-94 წლების სეზონში მისი ხელმძღვანელობით მილანმა ფინალში იოჰან კრუიფის ბარსელონას მოუგო 4:0.

# უმცროსი ბორჯღალოსნები რთულ ჯგუფში მოხვდნენ




წლევანდელ რაგბის მსოფლიო ჩემპიონატს 20 წლამდე ასაკში, 24 ივნისიდან 14 ივლისის ჩათვლით, სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს.

უმცროსი ბორჯღალოსნები ც ჯგუფში სამხრეთ აფრიკის, არგენტინისა და იტალიის წინააღმდეგ ითამაშებენ. ა ჯგუფში ჩემპიონი საფრანგეთი, უელსი, ახალი ზელანდია და იაპონია მოხვდნენ, ხოლო ბ ჯგუფში – ავსტრალია, ინგლისი, ირლანდია და ფიჯი.

ჯგუფის გამარჯვებულები და საუკეთესო მეორეადგილოსანი ნახევარფინალში გადის, ორი მეორეადგილოსანი და ორი უკეთესი მესამეადგილოსანი მე-5-მე-8 ადგილებს გაითამაშებენ, ხოლო უარესი შედეგის მქონე მესამეადგილოსანი და სამი მეოთხეადგილოსანი მე-9-მე-12 ადგილებისთვის იბრძოლებენ. მე-12 ადგილზე გასული გუნდი 2024 წელს „ალაფაზე" დაქვეითდება.

ჯგუფური ეტაპის შეხვედრები 24, 29 ივნისსა და 4 ივლისს გაიმართება, ნახევარფინალები 9 ივლისს შედგება, ფინალები – 14-ში.

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატსაც სამხრეთ აფრიკა მასპინძლობს.

უმცროსი ბორჯღალოსნები მსოფლიო რაგბის 20 წლამდე ელიტაში 2015 წელს აღზევდნენ და უძლიერესთა შორის ადგილი ზედიზედ ოთხჯერ შეინარჩუნეს. მანამდე ეს „ალაფიდან" დაწინაურებულმა ვერც ერთმა გუნდს ვერ მოახერხებინა.

2020-22 წლებში ტურნირი კოვიდ-პანდემიის გამო გაუქმდა და 3-წლიანი იძულებითი პაუზის შემდეგ, რაგბის დაარსების 200 წლის იუბილეზე ბრუნდება.

**ბილ ბომონტი, მსოფლიო რაგბის პრეზიდენტი:**

– მოხარულები ვართ წარმოგიდგინოთ ორი შესანიშნავი ტურნირის, 20-წლამდელთა ჩემპიონატისა და „ალაფის" მასპინძელი ქვეყნები – სამხრეთ აფრიკა და კენია. ეს ტურნირები უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდა, ნიჭიერი მორაგბეების განვითარებისთვის. ამ ტურნირებმა არსებობის 15 წლის განმავლობაში თავისი ეფექტურობა თვალნათლივ დაგვანახეს: არაერთმა ვარსკვლავმა გაიბრწყინა საერთაშორისო დონეზე და ბევრ მათგანს ვიხილავთ 2023 წლის მსოფლიო თასზე, რომელიც სექტემბერში დაიწყება. რაგბის განვითარების კუთხით, აფრიკა მნიშვნელოვანი რეგიონია და მადლობლები ვართ სამხრეთ აფრიკისა და კენიის, რომლებიც დაუვიწყარ სანახაობას გვთავაზობენ.

**მარკ ალექსანდერი, სამხრეთ აფრიკის რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

– სამხრეთ აფრიკა ამაყია მსოფლიო დონის ტურნირების მასპინძლობის გამოცდილებით, ასევე ტრადიციებით და მოხარულები ვართ, რადგან ზედიზედ, ორი წლის განმავლობაში გვექნება შესაძლებლობა, ვუმასპინძლოთ მორაგბეთა მომავალ თაობებს. ჩვენ გვაქვს საუკეთესო ინფრასტრუქტურა, გვყავს ფანტასტიკური გულშემატკივარი და დარწმუნებული ვარ, ორ წარმატებულ 20-წლამდელთა ჩემპიონატს ვუმასპინძლებთ.

**იოსებ ტყემალაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

– სამხრეთ აფრიკა ჩვენი პარტნიორი ქვეყანაა და მოხარულნი ვართ, იქ, მორიგ ჯერზე ჩასვლის შესაძლებლობა რომ გვექნება. ვიმედოვნებთ, რომ 2024 წელსაც ვეწვევით სამხრეთ აფრიკას, რადგან საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი სარაგბო ქვეყნისთვის, მნიშვნელოვანია ჩვენი ახალგაზრდები რეგულარულად თამაშობდნენ უმაღლესი დონის ტურნირებში. ამის დასტური ეროვნული ნაკრებია, რომელიც მუდამ ივსება იმ მაღალი დონის მოთამაშეებით, რომლებმაც დიდ რაგბში პირველი ნაბიჯები 18 და 20-წლამდელთა ჩემპიონატებზე გადადგეს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ქართველი მევიოლინე ქალი; 2. ცნობილი თურქი ფეხბურთის მსაჯი; 3. სამთო-კლიმატური კურორტი საქართველოში; 4. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 5. საკრედიტო დაწესებულება; 7. მდინარე თბილისში; 11. ღრმა ძილის მდგომარეობა; 13. ობობას ძველი სახელწოდება; 15. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 16. ყველაზე მრავალრიცხოვანი ინდიელთა ტომი პერუ, ბოლივია, ეკვადორში; 18. დადუღებული ყურძნის წვენი; 19. ქართველი მათემატიკოსი, აკადემიკოსი.

**თარაზულად:** 6. მეტროპოლიტენის სახელწოდება აშშ-ში; 8. ოქროს ჩამოსასხმელი ყალიბი; 9. ჩინეთში წარმოშობილი ქაღალდებიდან ფიგურების შექმნის ხელოვნება; 10. რჩევა-დარიგება, მითითება, რომელსაც უტოვებენ შთამომავლობას; 12. ფრანგული კოსმეტიკური ფირმა; 14. ქულა ძიუდოში; 17. ქართული მინერალური წყალი; 20. ჰაერში დაგროვილი წყლის შესქელებული ორთქლი; 21. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 22. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 23. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სტეტოსკოპი; 2. მატანი; 3. ბარნელა; 4. ლოლუა; 5. სერჟანტი; 6. ჰეკლა; 7. ჯანდარა; 9. სოკერი; 13. დიეზი; 17. ქადა; 18. ლიე.

**თარაზულად:** 1. სუნიზმი; 3. ბაცილა; 8. პეპელა; 10. გარინჩა; 11. პოლკა; 12. ბარსალა; 14. აკორდი; 15. აბატისა; 16. ტაქსა; 19. მიზერი; 20. დიონისე; 21. ქაჯაია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. იორდანე; 2. ჩედერი; 3. შუშაბანდი; 4. დიბალა; 5. დისკანტი; 7. არვე; 11. ძელშავი; 13. ბოლოლიწო; 16. ლანჩა; 18. შანსი; 19. ლაკმე.

**თარაზულად:** 6. ორბანი; 8. ვეჯვუდი; 9. რუბენსი; 10. ასპინძა; 12. ქიმია; 14. დასინი; 17. დულაშვილი; 20. ატაკამა; 21. არემჯი; 22. სტამბა; 23. საფიხვნო.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

27 იანვარი

აშშ დოლარი — 2.6451

ევრო — 2.8847

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2786

100 რუსული რუბლი — 3.8205

## ამინდის პროგნოზი 27 იანვრისათვის




## მარკუს რეშფორდი: „მანჩესტერს უფრო მეტი შეუძლია“



მანჩესტერ იუნაიტედის ფორვარდმა მარკუს რეშფორდმა განაცხადა, რომ მის გუნდს კიდევ უფრო მეტი შეუძლია და არსენალთან მარცხი კრიზისს არ ნიშნავს. რეშფორდის აზრით, მომავალ სეზონში იუნაიტედს ჩემპიონობის შანსიც ექნება: „არსენალთან დასანანი მარცხი ვიწვნიეთ, მაგრამ ამან ჩვენზე ცუდად არ უნდა იმოქმედოს და ჩვენ წინსვლა უნდა გავაგრძელოთ. წინ ბევრი თამაშია, სადაც ჩვენი პოტენციალი უნდა გამოვიყენოთ“.

## უსმან დემბელე: „საუკეთესო ფორმაში ვარ“

ბარსელონამ საკუთარ მოედანზე რეალ სოსიედადი მიიღო და დაამარცხა 1:0. შეხვედრაში ერთადერთი გოლი უსმან დემბელემ გაიტანა. მატჩის შემდეგ დემბელემ თქვა, რომ ის ამჟამად ძალიან კარგ ფორმაშია და შეეცდება, რომ ასე გააგრძელოს: „მიხარია, რომ გოლი გავიტანე, მაგრამ მთავარია, რომ მოვიგეთ. რთული შეხვედრა გამოვიდა და მეტოქემ ღირსეული წინააღმდეგობა გაგვიწია. მინდა, რომ ყველა თამაშში გოლი გავიტანო, მაგრამ ეს რთულია“.

## ლუჩიანო სპალეტი: „ნაპოლი ყველაფრისთვის მზად უნდა იყოს“



ნაპოლის მთავარმა მწვრთნელმა ლუჩიანო სპალეტიმ განაცხადა, რომ ნაპოლი არ უნდა მოეშვას და ისინი ვალდებული არიან, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანონ. სპალეტის თქმით, ნაპოლის ჩემპიონობის ძალიან კარგი შანსი აქვს: „ჩვენ ყოველთვის მაქსიმუმს ვაჩვენებთ და ყველა შეხვედრაში გამარჯვებისთვის ვიბრძვით. საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ და გულშემატკივარი გავახაროთ“.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## დირიჟორი შავლეგ შილაკაძე გარდაიცვალა



82 წლის ასაკში დირიჟორი შავლეგ შილაკაძე გარდაიცვალა.

თბილისის კონსერვატორიაში ისწავლა საშემსრულებლო ფაკულტეტზე ალტის მიმართულებით, საკომპოზიციო ფაკულტეტზე ისწავლა ოთარ თაქთაქიშვილის ხელმძღვანელობით, ოდისეი დიმიტრიადის სადირიჟორო კლასში, მოგვიანებით კი ლენინგრადის კონსერვატორიის სადირიჟორო ფაკულტეტზე.

შავლეგ შილაკაძე იყო საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური და კამერული ორკესტრების მუსიკოსი, თბილისის პირველი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი, კამერული ორკესტრის „თბილისის კამერატას“ დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი, კონსერვატორიის დოცენტი, პროფესორი, კამერული ორკესტრის „თბილისის კონცერტინოს“ დამაარსებელი და მთავარი დირიჟორი, ეგვიპტეში კაიროს ხელოვნების აკადემიის სიმფონიური ორკესტრის მიწვეული დირიჟორი, თბილისის მუსიკოსთა და მუსიკის მოყვარულთა კავშირის „კამერატა“ დამაარსებელი, კომპოზიტორთა კავშირის წევრი.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## იუმორი

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, მე შენ ჩემ ხელს და გულს გთავაზობდი, ტვინი სიაში არ ყოფილა.

●●●

მზარეული და ოფიციანტი კლიენტს სამზარეულოს ფანჯრიდან უყურებენ და მზარეული ეუბნება:

– შეხედე, მართლა ჭამს, გეფიცები, ჭამს!

●●●

ბავშვი წერილს წერს:

– ძვირფასო თოვლის პაპავ, დაე, ახალ წელს ჩვენმა მთავრობამ და დეპუტატებმა უმწეოთა დახმარებაზე იცხოვრონ!

●●●

პროფესორი სტუდენტს ეუბნება:

– გუშინ თქვენ ქალების საერთო საცხოვრებლის ტერიტორიაზე შეგნიშნეს. ამისთვის ჯარიმის 10 ლარის გადახდა მოგიწევთ, ხოლო თუ იგივე განმეორდება, მაშინ უკვე 25 ლარს გადაიხდით.

– ბატონო პროფესორო, ჩვენ სერიოზული ხალხი ვართ და მოდით პირდაპირ მითხარით, რა ღირს ერთი სემესტრის აბონემენტი?

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– გიყვარვარ?

– როგორ გითხრა... მიყვარს სასმელი და ქალები, მე და შენი საქმე კი უფრო სერიოზულია.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– ორ მამაკაცს ვხვდები და არ ვიცი, რომელი ავირჩიო.

– და გული რას გეუბნება?

– გული მეუბნება, გაანებე თავი, თორემ ქმარი გაიგებს და მოგკლავს.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– აბა, როგორია ცხოვრება?

– როგორც კინოში...

– ეგ როგორ?

– რეჟისორი ლოთია, სცენარისტი კი შვებულებაშია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ლევან კოღუაშვილის ფილმი შვედეთის კინოთეატრებშია



ქართველი რეჟისორის ლევან კოღუაშვილის ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ შვედეთის კინოგაქირავებაში გამოვიდა. ფილმს 10 ქალაქში აჩვენებენ. შვედურ პრესაში უკვე გამოჩნდა დადებითი შეფასებები ფილმის შესახებ. ლევან კოღუაშვილის ფილმმა არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე მთავარი პრიზები მიიღო. მასში მთავარ როლს ლევან თედიაშვილი ასრულებს.

„მეოთხე ბრაიტონი“ გვიყვება ამაღელვებელ ისტორიას ქართველი მოჭიდავის – კახის შესახებ, რომელიც ბრუკლინში ჩადის, რათა შვილს აზარტული თამაშების ვალის გადახდაში დაეხმაროს. ლევან კოღუაშვილის „მეოთხე ბრაიტონი“ ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით შეიქმნა.

## პაატა ბურჭულაძე ფონდ „იავნანას“ დაბადების დღეს ქველმოქმედებით აღნიშნავს



3 მარტს პაატა ბურჭულაძის მიერ დაარსებული საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ 19 წლის ხდება. იუბილეს ფონდი და მისი დამაარსებელი საქველმოქმედო კონცერტით აღნიშნავს.

კონსერვატორიის მცირე დარბაზში პაატა ბურჭულაძის კლასის კონცერტი გაიმართება. საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობას მიიღებენ სოპრანო ანა ფალავანდიშვილი, მეცო სოპრანო მაია ბერიშვილი, ბას ბარიტონი ზაზა გაგუა და ბანი ლევან შელეგია.

**პაატა ბურჭულაძე, ოპერის მომღერალი:**

– წლევანდელი 3 მარტი ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან გამორჩეული ნიჭით დაჯილდოვებული ახალი თაობის მომღერლების კონცერტზე უნდა მოგიწვიოთ პიანისტ მაია ფერაძესთან ერთად. თან ოთხივე ჩემი მოწაფეა და ერთობლივად პირველ კონცერტს გამართავენ. ფონდ „იავნანას“ 3 მარტს 19 წელი უსრულდება, დიდი მადლობა თბილისის კონსერვატორიას, რომ ამ თარიღს ერთად აღვნიშნავთ.

## „ჩოხოსნები“ 9 ძმა ხერხეულიძის მემორიალის მეურვეობაზე უარს აცხადებენ



საქართველოს ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასმა უარი განაცხადა სოფელ მარაბდაში მდებარე 9 ძმა ხერხეულიძის მემორიალის მეურვეობაზე.

**გოგი დოლიძე, დასის მეთაური, პროფესორი:**

– მას შემდეგ, რაც 2008 წელს წარმატებით აღვადგინეთ მივიწყებული სახალხო დღესასწაული „მარაბდობა“ და მივეცით მას სისტემატური, ნამდვილად ეროვნული სახალხო ზეიმის სახე, სათანადო სახელმწიფო სტრუქტურებმა – სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტომ, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრმა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ სამეურვეოდ გადმოგვცეს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მარაბდაში მდებარე 9 ძმა ხერხეულიძის მემორიალის მიმდებარე ტერიტორია. ეს უსათუოდ დიდი პატივი იყო ჩვენთვის და ენერგიულად შევუდექით საქმეს, უპირველეს ყოვლისა, ერთობ საინტერესო და ხალხმრავალი საჯარო ღონისძიებათა ორგანიზების თვალსაზრისით. ყოველივე ამას ოპერატიულად აშუქებდა არა მხოლოდ ჩვენი პრესა და ტელევიზია, არამედ უცხოურიც. მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ სამწუხაროდ, არანაირი ფინანსური შემოსავალი არ გვაქვს, თანდათანობით ცხადი გახდა, რომ ველარ შევძლებდით ასეთი დიდი ნდობის სრულად გამართლებას. მემორიალს უპირველეს ყოვლისა ესაჭიროება შესაბამისი შემოღობვა, ელემენტარული წესრიგისა და სისუფთავის დასაცავად, რისი ორგანიზება საგრძნობლად აღემატება ჩვენს მოკრძალებულ შესაძლებლობებს. მხოლოდ ის მოვახერხეთ, რომ მემორიალს რკინის ჭიშკარი გავუკეთეთ და იქვე შესასვლელთან ტონანახევრიანი ჯიხური დავდგით. ამდენად, როგორც არ უნდა გვიჭირდეს ამის აღიარება, ველარ გავაგრძელებთ მემორიალის მეურვეობას, რის გამოც ბოდიშს ვიხდით საჯაროდ, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ ამ სახელოვან მემორიალს, ღვთის წყალობით, უფრო შეძლებული მზრუნველი გამოუჩნდება.

ამასთან პატიებას ვთხოვთ საქართველოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, რომლის იდეაც იყო ჩვენი დასის ჩამოყალიბება, ცნობილი „ჩოხოსნების ფიციც“ სწორედ მან დაგვიწერა, ფიცი, რომელიც 2006 წლიდან პირველივე გვერდზე იბეჭდება ჩვენი ჟურნალის „რაინდი“ ყოველ ნომერში.

დასი კი, ცხადია, ჩვეული ენთუზიაზმით გააგრძელებს მოღვაწეობას თავისი შესაძლებლობების ფარგლებში. მით უმეტეს, რომ იგი სულ ივსება ახალ-ახალი სულისკვეთებით განმსჭვალული ახალგაზრდებითა და დიდი ცხოვრებისეული გამოცდილების მქონე მოქალაქეებით.

## მატილდა გვარლიანი „მასიმო დუტის“ სახეა



ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი კიდევ ერთი მსოფლიოში აღიარებული ბრენდის „მასიმო დუტის“ სახეა. ლამაზმანმა ბრენდის უახლესი კოლექციის წარდგენისთვის დაგეგმილ ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა.

„მასიმო დუტი“ მომხმარებელში ერთ-ერთი ყველაზე ხარისხიანი და დახვეწილი სტილის მქონე ბრენდია, რომელმაც ახალი კოლექციის წარსადგენად ქართველი მოდელი მატილდა გვარლიანი შეარჩია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 27 იანვრისთვის

**ვერძი** – რთული დღეა. მოთმინება გმართებთ. საბოლოოდ მიზანს მაინც მიაღწევთ. **კურო** – საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. გამოიჩინეთ ინიციატივა და სიმტკიცე. **ტყუპები** – ყველასთან გულახდილი ნუ იქნებით. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ. **კირჩხიბი** – საქმიანი პარტნიორებისაგან ხელსაყრელ შემოთავაზებას ელოდეთ. იყავით მადლიერი. **ლომი** – ყველაზე ჩახლართული სიტუაციებიდანაც კი გამოსავალს იპოვით. ენერგიულად ხართ. **ქალწული** – დღეს ძალზე მნიშვნელოვანია ოჯახში ემოციური ატმოსფერო, რაც პირად ცხოვრებაში წარმატებას განაპირობებს. **სასწორი** – მოვლენები თქვენი გეგმის მიხედვით არ განვითარდება. გამოიჩინეთ კეთილგონიერება და მოთმინება. **ღრიანკალი** – ინტუიცია საკმაოდ გაგიმახვილდებათ. ნუ აჩქარდებით. საქმე დინჯად აკეთეთ. **მშვილდოსანი** – პოზიტიური დღეა. ჩანაფიქრის რეალიზაციას ბრწყინვალედ ახერხებთ. **თხის რქა** – დეპრესია გიტევთ. უსაქმოდ ნუ გაჩერდებით. ცდუნებას არ აჰყვეთ. **მერწყული** – მოულოდნელად მიღებული ინფორმაციის გამო გეგმები გეცვლებათ. ნუ იქნებით სუბიექტური. **თევზები** – დაეხმარეთ მეგობრებს, ახლობლებს, თუმცა საკუთარ საქმესაც ნუ დაივიწყებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ესპანელი მწერალი; 2. ტერიტორიული ერთეული საფრანგეთში; 3. ტროპიკებში გავრცელებული შხამიანი ობობა; 4. ხის ზედა განტოტვილი ნაწილი; 5. კარდინალთა საბჭო, რომელიც რომის პაპს ირჩევს; 6. ნიდერლანდიური ყველი; 7. ვერტიკალურად ამფრენ-დამფრენი ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავი; 9. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 13. ინდოეთის ოკეანისპირა ნავსადგური ავსტრალიაში; 17. იტალიელი კომპოზიტორი, მრავალი კინოფილმის მუსიკის ავტორი; 18. მარადმწვანე ფოთლოვანი მცენარე.

**თარაზულად:** 1. აზიის სტეპებში გავრცელებული ანტილოპა; 3. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 8. მუსიკალური ნაწარმოები; 10. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 11. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა; 12. კინოკომედია „ქინ-ძა-ძას“ რეჟისორი; 14. საგაზეთო პუბლიკაცია; 15. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 16. გემთმშენებელი საწარმო; 19. მოდური ტანსაცმლის მაღაზია; 20. სახელმწიფო ევროპაში; 21. სასტუმრო თბილისში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*